განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა

აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 1 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 24 აგვისტო

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	განათლების მეცნიერებები
უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	განათლების მეცნიერებების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0111 განათლება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზაქარია ქიტიაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე კვირიკაშვილი - თბილისის ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია - სსიპ -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური - სსიპ -ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ მიზანია, მოამზადოს განათლების მეცნიერებების მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე კადრი, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები მაღალი აკადემიური სტანდარტის მისაღწევად. პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებში კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავდა 2021 სასწავლო წელს, შესაბამისად, იგი, წარმოდგენილი შინაარსით, შეფასების მომენტისთვის არაა მოქმედი. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს და ეყრდნობა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ განათლების მეცნიერებებისა და მართვის პროგრამის გამოცდილებას, რომელიც ამჟამად ავტორიზებულ რეჟიმში ხორციელდება. წარმოდგენილ პროგრამაში, წინა პროგრამისგან განსხვავებით, შეცვლილი და მნიშვნელოვნად გაზრდილია განათლების მეცნიერების შინაარსის მქონე საგანთა ხვედრითი წილი და კვლევითი კომპონენტი.

პროგრამის სამუშაო ჯგუფი პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების იდენტიფიცირებისას დაეყრდნო ბაზრის კვლევის, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგებს.

პროგრამაში დაგეგმილია ინტენსიური პრაქტიკის განხორციელება პრაქტიკის ობიექტებზე - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. პრაქტიკის განხორციელების პროცესში სტუდენტი აკვირდება სკოლაში მიმდინარე პროცესებს, აანალიზებს სკოლის პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობას და ახდენს საკვლევი საკითხის იდენტიფიცირებას. აღნიშნულ საკითხს სტუდენტი იკვლევს ორი სემესტრის განმავლობაში, რასაც მე-4 სემესტრის ბოლოს აფორმებს სამაგისტრო ნაშრომის სახით.

მიუხედავად პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ზოგადი ფორმულირებებისა, პროგრამა ორიენტირებულია ზოგადი განათლების საკითხების პრაქტიკასა და კვლევაზე.

პროგრამის მოცულობა შეადგენს 120 კრედიტს, რომლის ათვისებაც დაგეგმილია ორი სასწავლო წლის (ოთხი სემესტრი) განმავლობაში. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ცენტრის დირექტორის ბრძანების (MES 0 21 0000597236 - 18. 06. 2021) თანახმად, 2021 წლის 1 ივლისს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისტანციურად (ზუმის პლატფორმის გამოყენებით) განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ამავე უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების მეცნიერებები“ აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

ვიზიტის განხორციელებამდე ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო შესაბამისი საგანმანათ-ლებლო პროგრამის მასალები და დაიწყო მოწოდებული დოკუმენტაციის გაცნობა. ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ იმუშავა პროგრამის გაცნობაზე, შეფასებაზე და დაზუსტდა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ინტერვიუს დროს პროგრამის სტანდარტებსა და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

ხელმძღვანელებს. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფმა დისტანციურადვე დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და აუდიტორიები, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

შეხვედრის განმავლობაში დაზუსტებულ იქნა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

დაწესებულის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შეჯამება

დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტის საფუძველზე წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიგნებების გათვალისიწინებით მოამზადა და წარმოადგინა გარკვეული ცვლილებების ანგარიში იმ რეკომენდაციების ფარგლებში, რომელთაც ეთანხმება. რეკომენდაციების ნაწილზე, რომელთაც დაწესებულება არ ეთანხმება, წარმაოდგინა არგუმენტირებული პოზიცია. კერძოდ:

რეკომენდაცია 4. (სტანდარტი 1.2) რეკომენდებულია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და პროგრამაზე მუშაობის პროცესის დოკუმენტირება;

დაწესებულების პასუხი: რეკომენდაციას არ ვეთანხმებით პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე, აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში აქტიურად იყო ჩართული დაინტერესებული მხარეები (აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრეულები, დამსაქმებლები), რაც კარგად ჩანს წარმოდგენილ აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში მითითებულ პროგრამის განახლება/გადამუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შემადგენლობაში. რაც შეეხება პროგრამის მუშაობის პროცესის დოკუმენტირებას, უსდ ყოველთვის იცავს პროცედურებს და ახდენს სამუშაო შეხვედრებისა და სხდომების დოკუმენტირებას. პროგრამის განმახორციელებელი დეპარტამენტში პროგრმასთან დაკავშირებული ყველა შეხვედრა არის დაოქმებული. 2020 წლის ოქტომბრამდე აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის ერთ-ერთი დანართი - „პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია“ ითვალისწინებდა უსდ-ს მხრიდან რეკომენდაციაში

მითითებული დოკუმენტების წარდგენას, მაგრამ 2020 წლის სექტემბერში აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშის დანართების (დოკუმენტაციის) ოპტიმიზაცია და აღნიშნული დანართი ამოღებულია ჩამონათვალიდან (https://eqe.ge/ka/posts/2742/umaghlesisaganmanatleblo-datsesebulebebis-sayuradghebod). აღნიშნულის გამო, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მიმიდინარე პროგრამაზე მუშაობის ეტაპების ამსახველი დოკუმენტაცია არ იყო წარმოდგენილი, თუმცა ვიზიტის დღეს ექსპერტების მხრიდან აღნიშნული დოკუმენტაციის მოთხოვნის შემთხვევაში, იქნებოდა მიწოდებული. შესაბამისად რეკომენდაციას არ ვეთანხმებით.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული მიგნება ეფუძნებოდა ინტერვიუების შედეგებს. პროგრამის გარკვეული კომპონენტების დაზუსტებისას ვიღებდით ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს და გარკვეული საკითხები ინტერვიუს შემდეგაც დაუზუსტებელი დარჩა. ამის შემდეგ გახდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან პროგრამაზე მუშაობის, მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცნობის საჭიროება. დეტალური აღწერა იხილეთ 1.2 სტანდარტში.

რეკომენდაცია 8. (სტანდარტი 2.1) შემუშავდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე შეფასების ისეთი პროცედურა და შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას, ვალიდურობასა და ობიექტურობას;

დაწესებულების პასუხი: სამაგისტრო პროგრამაზე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ორგანიზებას აკეთებს და მის ჩატარებას, აწსუ-ში მოქმედი რეგულაციების დაცვით, უზრუნველყოფს აწსუ-ში მოქმედი საგამოცდო ცენტრი. საგამოცდო ცენტრში ხდება მაგისტრანტობის კანდიდატების მიერ შესრულებული დავალებების შეფასება ყველა პროცედურის დაცვით და შეფასების იმ ინსტრუმენტების გამოყენებით, რომელიც სამაგისტრო გამოცდის კომისიის მიერ განისაზღვრება. შესაბამისად უზრუნველყოფილია შეფასების სანდოობა, ვალიდურობა და ობიექტურობა

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული რეკომენდაცია გამომდინარეობდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებაში წარმოდგენილმა ბოლო 5 წლის დემოგრაფიულმა აღწერილობამ, კერძოდ აპლიკანტთა და ჩარიცხულ პირთა თანაფარდობამ. წინამდებარე დასკვნაში არ არის ყურადღება გამახვილებული აღნიშნული მიგნების მიზეზებზე, რადგან ეს შეიძლება გახდეს თავად დაწესებულების კვლევის საგანი. დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2.1 სტანდარტის აღწერაში.

რეკომენდაცია 14. (სტანდარტი 2.3) რეკომენდებულია, ერთი სასწავლო კურსისთვის, მისი მოცულობის გათვალისწინებით, განისაზღვროს რელევანტური მოცულობის თემატიკა;

დაწესებულების პასუხი: დასკვნის პროექტში აღწერის ნაწილში ვკითხულობთ „უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის შეუძლებლად მიაჩნია ექსპერტთა ჯგუფს ერთ სალექციო-სასემინარო საათზე შეძლო რაოდენობრივი მონაცემების დამუშავების SPSS პროგრამის სწავლება". კურსის კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 2 ერთერთი მიზანია სტუდენტს შეასწავლოს კვლევის დაგეგმვის პრინციპები, რაც კვლევის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. მონაცემების ანალიზისათვის გამოიყენება Excel და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფები (STATA, SPSS, SAS) აღნიშნული კურსის მეხუთე ლექცია ეთმობა მონაცემთა დამუშავებისათვის საჭირო კომპიუტერული პროგრამების მხოლოდ გაცნობას.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: ექსპერტთა ჯგუფისთვის ბუნდოვანია, რა მიზანს ემსახურება მონაცემთა ანალიზის პროგრამების მხოლოდ გაცნობა. დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2.3 სტანდარტის აღწერაში.

რეკომენდაცია 15. (სტანდარტი 2.3) რეკომენდებულია, თითოეული სალექციო თემისთვის განისაზღვროს სავალდებულო ლიტერატურა გვერდების მითითებით. აღნიშნული ინფორმაცია აისახოს კურსების სილაბუსებში.

დაწესებულების პასუხი: რეკომენდაციას გავითვალისწინებთ და სილაბუსებში მითითებული იქნება სავალდებულო ლიტერატურის გვერდების რაოდენობა. თუმცა ვთვლით, რომ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები, რომლებსაც გავლილი აქვთ საბაკალავრო საფეხური და უკვე ფლობენ ლიტერატურის, მონაცემების დამოუკიდებლად მოძიების, დამუშავების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარს, თავად უნდა შეძლონ სილაბუსში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურაში სალექციო თემების შესაბამისი ნაწილის მოძებნა.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: ექსპერტთა ჯგუფს გაუჭირდა სასწავლო კურსების ფარგებში გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის მოცულობის რელევანტურობის შეფასება, რადგან სილაბუსებში არ ჩანს, ცალკეული სახელმძღვანელოს რა ნაწილი გამოიყენება სწავლებისას. დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2.3 სტანდარტის აღწერაში.

რეკომენდაცია 16. (სტანდარტი 2.3) ზოგიერთი სასწავლო კურსის („კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში“, „მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ეთიკა“) სილაბუსით აქტივობების შეცვლა-შემცირება ისე, რომ სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი იყოს.

დაწესებულების პასუხი: ვთვლით, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი აქტივობები სემესტრის განმავლობაში რეალიზებადია. მაგ: სასწავლო კურსის სილაბუსში „კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში“ შეფასების ნაწილში მითითებული

სტუდენტის აქტივობების შეფასების ფორმები განმახორციელებლების მიერ შემუშავებულია აკადემიური თავისუფლების ფარგლებში და ვთვლით, რომ სემესტრის განმავლობაში რეალიზებადია. აწსუ-ში სემესტრი არის 17-18 კვირიანი, აქედან სააუდიტორიო მუშაობებისთვის განკუთვნილია 15 კვირა. აღნიშნულ სასწავლო კურსში 15 ლექციაა და 30 პრაქტიკული მუშაობა. როგორც 2.3. ქვესატნდარტის აღწერაში ექსპერტები მიუთითებენ პირველი კვირა გაცნობითია და შეფასებისთვის ვერ გამოვიყენებთ, შუალედური გამოცდის კვირა არ შედის სააუდიტორიო მუშაობებისთვის განკუთვნილი კვირეების რაოდენობაში, ამიტომ შეფასებისთვის რჩება 14 კვირა და შესაბამისად 28 პრაქტიკული. შესაბამისად, ვთვლით, რომ 28 სთ საკმარისია 10 ქულიანი ჯგუფური მუშაობის შესაფასებლად 10 კვირის განმავლობაში, პარალელურად 15 ქულიანი კვლევის (0,5 ქულიანი ანკეტის გამოყენებით) ჩასატარებლად და სასწავლო სემესტრის ბოლო მე-15 კვირაში 2 პრაქტიკულ მუშაობაზე კვლევის ანალიზის შესაფასებლად

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: აღნიშნული რეკომენდაცია ეხებოდა „კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 2“-ს, რაც დასკვნის პროექტში, კრეძოდ რეკომენდაციის ნაწილში არ იყო დაკონკრეტებული. აღნიშნული დაზუსტდა წარმოდგენილ დასკვნაში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2.3 სტანდარტის აღწერაში.

რეკომენდაცია 18. (სტანდარტი 2.4) შემუშავდეს პრაქტიკის კომპონენტის აღმწერი ერთიანი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში მოვა პროფესიული პრაქტიკის სილაბუსსა და სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმის პირობებთან.

დაწესებულების პასუხი: აწსუ-ში მოქმედებს „სტუდენტის პრაქტიკაზე გაშვების, შეფასებისა და პრაქტიკის გაუმჯობესების წესი“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 28(17/18), 5.12.2017 -https://atsu.edu.ge/index.php/acad-councilseparator/akad-sabcho-dadgenilebebi?task=document.viewdoc&id=258), რომლის საფუძველზე ხდება უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამში გათვალისწინებული პროფესიული პრაქტიკის სილაბუსის შექმნა, პრაქტიკის კომპონენტის ორგანიზება.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: აღნიშნული რეკომენდაცია გულისხმობდა წარმოადგენილი პროგრამის პრაქტიკის დოკუმენტის შექმნას პროცესის დეტალური აღწერით და შესაბამისი ინსტრუმენტებით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ რედაქტირდა რეკომენდაცია და დაზუსტდა აღნიშნული პოზიცია. დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2.4 სტანდარტის აღწერაში;

რეკომენდაცია 20. (სტანდარტი 2.6) გადაიხედოს სტუდენტთა შეფასების საუნივერსიტეტო წესი. შემუშავდეს შეფასების ისეთი წესი, რომლის მიხედვითაც კურსის ავტორს მიეცემა

შესაძელებლობა თავად განსაზღვროს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმა და მეთოდი;

დაწესებულების პასუხი: აწსუ-ში მოქმედი სტუდენტის შეფასების სისტემა არ ზღუდავს სასწავლო კურსის ავტორს თავად განსაზღვროს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმა და მეთოდი. გამოცდები შეიძლება იყოს ტესტური, წერითი, ზეპირი, კომბინირებული (წერა და ზეპირი, ტესტირება და ზეპირი). გარდა ამისა, აწსუ-ში მოქმედი სტუდენტის შეფასების სისტემით სტუდენტის აქტივობა სემესტრის განმავლობაში ფასდება არა უმეტეს 30 ქულით, შუალედური გამოცდა არა ნაკლებ 30 ქულით და დასკვნითი გამოცდა არის 40 ქულა (აკადემიური საბჭოს დადგენილება №5 (17/18), 15.09.2017). აღნიშნული წესის გათვალისწინებით აკადემიური თავისუფლების ფარგლებში სასწავლო კურსის განმახორციელებელს შეუძლია საგნის სპეციფიურობის გათვალისწინებით თავად განსაზღვროს შუალედური გამოცდისა და სტუდენტის აქტივობის ქულა. მაგ: შუალედური გამოცდა შეაფასოს 35 ან 40 ქულით და სტუდენტის აქტივობა 20 ან 25 ქულით.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ თითქმის ყველა კურსში შუალედური და დასკვნითი გამოცდის ფორმად გამოყენებულია ტესტირება. აღნიშნული რეკომენდაცია გამომდინარეობდა ექსპერთა ჯგუფის სწორედ ამ მიგნებიდან. შესაბამისად, რედაქტირდა რეკომენდაცია და დაზუსტდა აღნიშნული პოზიცია. დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2.6 სტანდარტის აღწერაში;

რეკომენდაცია 25. (სტანდარტი 3.2) უზრუნველყოფილი იყოს აკადემიურ ნაშრომებზე მუშაობისას შესაბამისი აკადემიური სტილისა და ნორმების დაცვა.

დაწესებულების პასუხი: სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გათვალისწინებულია უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური სტილი (აკადემიური საბჭოს დადგენილება 73(19/20), 10.07.2020 -აწსუ ციტირების წესისა და ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ) და დაცული იქნება სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და შეფასების წესში გაწერილი ნორმები

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: ექსპერტთა ჯგუფის აღნიშნული მიგნება ეყრდნობა კურსდამთავრებულთა მიერ შესრულებული ნაშრომების ანალიზს, რომლის გადახედვის შესაძლებლობა გვქონდა ვიზიტის მიმდინარეობისას. დეტალური ინფორმაცია იხილეთ 3.2 სტანდარტის აღწერაში;

რეკომენდაცია 26. (სტანდარტი 4.1) სასწავლო კურსების „განათლების სისტემის მართვის სამართლებრივი საფუძვლები“, „ბავშვთა უფლებების“ სწავლის შედეგების მიღწევის უზურნველსაყოფად, განმახორციელებელ ლექტორ(ებ)თან ერთად, სამართლის

მიმართულებით არსებული შიდასაუნივერსიტეტო ადამიანური რესურსის გამოყენება, მათი სამეცნიერო თუ პრაქტიკული საქმიანობის სფეროს შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კურსის შინაარსთან.

დაწესებულების პასუხი: სასწავლო კურსს „განათლების სისტემის მართვის სამართლებრივი საფუძვლები“ ანხორციელებს ლექტორთა ჯგუფი, რომელთა შორის ერთი განმახორციელებელი არის ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, სამართლის დოქტორი, ასევე მოწვეული იქნება სახალხო დამცველის აპარატის დასავალეთ საქართველოს რეგიონალური სამმართველოს უფროსი. სასწავლი კურსს “ბავშვთა უფლებები“ განახორციელებს პროგრამის განმახორციელებელი ის აკადემიური პერსონალი, რომლებიც გადიან 2021 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ორგანიზებულ პროფესიული განვითარების პროგრამას უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის ბავშვთა უფლებების სპეციალისტებად მომზადებასთან დაკავშირებით (პროგრამა დასრულდება მიმდინარე წლის ნოემბერში). ხორციელდება 6 თვიანი პროფესიული განვითარების პროგრამა: ბავშვთა უფლებების სწავლება უნივერსიტეტებში.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: აღნიშნული რეკომენდაცია მოიაზრებს განათლების სამართლისა და ბავშვთა უფლებების მიმართულებით აკადემიურ თუ პრაქტიკულ საქმიანობას.

რეკომენდაცია 28. (სტანდარტი 5.2) ძლიერი და სუსტი მხარეები შესაბამისი სტანდარტის მსჯელობიდან უნდა გამომდინარეობდეს. თვითშეფასება უნდა შეიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციასა და ანალიზს.

დაწესებულების პასუხი: ვთვლით, რომ თვითშეფასების ანგარიშში ძლიერი და სუსტი მხარეები შეესაბამება სტანდარტებს, რაც შეეხება სრულყოფილ ინფორმაციას დანართების სახითაა წარმოდგენილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფსების ანგარიში, მოიცავს მხოლოდ ზოგად და მოკლე აღწერილობებს და არ შეიცავს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ანალიზს. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია გამომდიანრეობს სწორედ ამ მიგნებიდან. დეტალური ინფორმაცია იხილეთ 5.2 სტანდარტის აღწერაში;

რეკომენდაცია 29. (სტანდარტი 5.2) სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ვალიდური ინსტრუმენტების შემუშავების, მიგნებების ინტერპრეტირების, მათი

სიღრმისეულად შესწავლისა და მიზეზების კვლევის პროცესში, უნივერსიტეტმა მეტი სიზუსტე და ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს.

დაწესებულების პასუხი: აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემადგენელი პროცედურები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების პროცესის სრულყოფილად წარმართვას.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: დაწესებულების მიერ წარმოადგენილი პოზიცია ზოგადია და არ არის დასაბუთებული. ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს აღნიშნულ პოზიციას. სტანდარტის შესაბამისი დეტალური ინფორმაცია იხილეთ 5.2 სტანდარტის აღწერაში;

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია, გადაიხედოს და რედაქტირდეს საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის მიზნები. შეიცვალოს რიგი დებულებების ფორმულირება როგორც სტილისტიკური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით;
  - რეკომენდებულია, პროგრამის მიზანში ასახული ინკლუზიური განათლების პრინციპების რელევანტურობისათვის აღნიშნული შინაარსის არჩევითი კურსი სავალდებულო საგნად განისაზღვროს;
  - რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში დაზუსტდეს განათლების რომელი სფეროს შესწავლაზეა ორიენტირებული პროგრამა;
  - რეკომენდებულია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და პროგრამაზე მუშაობის პროცესის დოკუმენტირება;
  - რეკომნდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. კურიკულუმში წარმოდგენილი ინფორმაცია სწავლის შედეგების შეფასების შესახებ, შესაბამისობაში მოვიდეს შესაბამის დოკუმენტთან;
  - რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სავალდებულო კურსების ბლოკის შინაარსი. აღნიშნული ბლოკს დაემატოს პროგრამის სწავლის შედეგის **„ჩამოთვლის/აღწერს .. განათლების სისტემის აგების სამართლებრივ საფუძვლებს, ბავშვთა უფლებებს“** რელევანტური თემატიკა / სასწავლო კურსი;

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განათლებაში“ შინაარსი. აღნიშნული კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისი თემატიკა შეირჩეს იმგვარად, რომ სტუდენტებს მიეცეთ ადამიანური რესუსრების მართვის განათლების კონტექსტში გააზრების შესაძლებლობა;
- შემუშავდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე შეფასების ისეთი პროცედურა და შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას, ვალიდურობასა და ობიექტურობას;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) დადასტურების პირობები და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის შინაარსსა და პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო რესურსებთან;
- განისაზღვროს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უცხო ქვეყნის არაქართულენოვანი მოქალაქეებისთვის ქართული ენის B2 დონეზე დადასტურების პირობები;
- გადაიხედოს არჩევითი კურსების ბლოკები. გადაჯგუფდეს სასწავლო კურსები ბლოკებში შესაბამისი სფეროების მიხედვით;
- პროგრამის სტრუქტურის ლოგიკური განვითარებისა და ათვისების უზრუნველსაყოფად გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები, კურსის ფარგლებში შეთავაზებული თემების გადაფარვის გამორიცხვის მიზნით;
- რეკომენდებულია, ერთი სასწავლო კურსისთვის, მისი მოცულობის გათვალისწინებით, განისაზღვროს რელევანტური მოცულობის თემატიკა;
- რეკომენდებულია, თითოეული სალექციო თემისთვის განისაზღვროს სავალდებულო ლიტერატურა გვერდების მითითებით. აღნიშნული ინფორმაცია აისახოს კურსების სილაბუსებში;
- ზოგიერთი სასწავლო კურსის („კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 2“, „მასწავლებლის პროფე-სიული განვითარება და ეთიკა“) სილაბუსით აქტივობების შეცვლა-შემცირება ისე, რომ სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი იყოს;
- გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და შესრულების ინსტრუქცია. შესაბამისობაში მოვიდეს ის სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსსა და სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმის პირობებთან;
- შემუშავდეს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის აღმწერი ერთიანი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში მოვა პროფესიული პრაქტიკის სილაბუსთან, სკოლებთან

გაფორმებული მემორანდუმის პირობებსა და ზოგადაუნსივერსიტეტო პრაქტიკის დოკუმენტთან;

- რეკომენდებულია, შეფასების ინსტრუმენტები მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდებისგან;
- რეკომენდებულია, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს კურსის სპეციფიკა და შინაარსი;
- უცხოენოვანი ლიტერატურის დამუშავებაში სტუდენტისთვის ქულის მინიჭების შემთხვევაში ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყოს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობით განსაზღვრულ ყველა უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული), რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს ქულის მოპოვების თანაბარი შესაძლებლობა ან შეფასებისას აღნიშნული უპირატესობების მინიჭების მექნიზმი მოიხსნას;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტში დაინერგოს შეფასების მეთოდების, ფორმებისა და შეფასების პროცედურების ობიექტურობის, სანდოობისა და ვალიდობის უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურები;
- რეკომენდებულია, მოხდეს სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით საერთაშორისო სემესტრულ მობილობებში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ეფექტური ხელშემწყობი მექანიზმების შემოღება და სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა ამ მიმართულებით;
- რეკომენდებულია, სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ერთი ან ერთზე მეტი თანახელმძღვანელით. აღნიშნული პირობა აისახოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დოკუმენტში;
- უზრუნველყოფილი იყოს აკადემიურ ნაშრომებზე მუშაობისას შესაბამისი აკადემიური სტილისა და ნორმების დაცვა;
- სასწავლო კურსების „განათლების სისტემის მართვის სამართლებრივი საფუძვლები“, „ბავშვთა უფლებების“ სწავლის შედეგების მიღწევის უზურნველსაყოფად, განმახორციელებელ ლექტორ(ებ)თან ერთად, სამართლის მიმართულებით არსებული შიდასაუნივერსიტეტო ადამიანური რესურსის გამოყენება, მათი სამეცნიერო თუ პრაქტიკული საქმიანობის სფეროს შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კურსის შინაარსთან;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებული მტკიცებულებები. სრულად შესაბამისობაში

მოვიდეს ის პროგრამის თვითშეფასებაში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ჩამონათვალთან;

- ძლიერი და სუსტი მხარეები შესაბამისი სტანდარტის მსჯელობიდან უნდა გამომდინარეობდეს. თვითშეფასება უნდა შეიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციასა და ანალიზს;
- სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ვალიდური ინსტრუმენტების შემუშავების, მიგნებების ინტერპრეტირების, მათი სიღრმისეულად შესწავლისა და მიზეზების კვლევის პროცესში, უნივერსიტეტმა მეტი სიზუსტე და ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება;
  - სასწავლო კურსის „ბავშვთა უფლებების“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის შევსება უახლესი ქართულენოვანი ლიტერატურით;
  - სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსების დამხმარე ლიტერატურაში აისახოს როგორც უახლესი ქართულენოვანი პერიოდული გამოცემები, ისე უცხოენოვანი ნაშრომები;
  - აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების განახლება და მასში პროფესიული გამოცდილებისა და განვითარების შესახებ ინფორმაციის სრულად ასახვა;
  - აკადემიური და მოწვეული პერსონალის სტატუსის / აკადემიური ხარისხის შესაბამისი მოთხოვნების იდენტიფიცირება და აღნიშნულ მოთხოვნებზე მორგებული შრომითი ხელშეკრულებების შემუშავება / გაფორმება ;
  - უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის პროფესიული ტრენინგების შეთავაზებასა და მხარდაჭერას;
  - სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს პერსონალის სამეცნიერო აქტივობებისა და პროდუქტიულობის ამაღლება-შენარჩუნებაზე;
  - სასურველია, სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი აქტივობების შესასრულებლად გათვალისწინებული ხარჯები უფრო დეტალურად აისახოს პროგრამის ბიუჯეტში;
  - სასურველია, სხვა ფინანსური წყაროების მოძიება-მოზიდვა;

- ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობისას ისეთი ღირებულებები და მიდგომები როგორებიცაა გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდობა, პრაქტიკაში მეტად უნდა იყოს რეალიზებული;
- პანდემიით/საგანგებო სიტუაციებით განპირობებული გამოწვევების მართვის მიზნით, სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი. ასევე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შესაბამის ერთეულებთან თანამშრომლობით შეიმუშაოს ელექტორნული სწავლების განხორციელებისთვის საჭირო გზამკვლევები, ტუტორიალები, ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები;
- სასურველია გარე შეფასება განახორციელონ უკვე წარმოდგენილი პროგრამის შინაარსის პირობებში. ასევე, სასურველია, რომ ხარისხის განვითარების გარე მექანიზმი ითვალისწინებდეს პრაქტიკის ობიექტების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციების და სხვა გარე შემფასებლების მიერ გამოვლენილ / იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს / გასაუმჯობესებელ ასპექტებს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განათლების მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად კვალიფიკაციის სირთულის მე-7 დონეს შეესაბამება. პროგრამის შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - „განათლების მეცნიერებების მაგისტრი“. კვალიფიკაციის კოდია: 0111. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, რომლის თანახმად, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც მრავალდარგოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს პროფესიონალები და ლიდერები. მისიასთან კორელაციის მოტივით არის ნაკარნახევი მიზანში გაწერილი დებულებაც -„მოამზადოს ქალაქისა და რეგიონის მასშტაბით განათლების სისტემის მკვლევარი...“ აქვე უნდა ითქვას, რომ ინტერვიუს დროს დასმულ შეკითხვაზე, პროგრამის აღნიშნული მიზანი რა სპეციფიკურ პროგრამულ შინაარსსა თუ მომზადების თავისებურებას ავლენს, ხელმძღვანელების მხრიდან მხოლოდ მისიის სულისკვეთების გაზიარებაზე გაკეთდა აქცენტი, რომელსაც მკაფიო საყრდენები პროგრამის შინაარსში არ გააჩნია და მხოლოდ პოტენციური დასაქმების არეალს თუ მონიშნავს. პროგრამის მიზნები ხსნის პროგრამის მიდგომას და ხედვას განათლების მეცნიერებების დარგისთვის დამახასიათებელი თვალთახედვისა, თუმცა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან შინაარსობრივ თუ სტილისტიკურ გადამუშავებას საჭიროებს. ასე მაგალითად:

- მიზნის ფრაზა: „შეასწავლოს სწავლება-სწავლის პროცესისა და სხვებისათვის ცოდნის გადაცემის თეორიები“ - სწავლება-სწავლის პროცესის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია სწორედ ცოდნის გადაცემის პროცესია, შესაბამისად, მაჯგუფებელი კავშირით მოცემულ იდენტური შინაარსის მატარებელ ფრაზათა გაერთიანება აზრობრივი ტავტოლოგიის პირობაა. თუ აღნიშნული სწავლის შედეგი გარდა სწავლებისა / სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორებისა, მოიცავს სწავლა-სწავლების პროცესის სხვა კომპონენტებსაც, მაშინ ეს მკაფიოდ უნდა აღიწეროს სწავლის შედეგში.
- მიზნის ამავე წინადადებაში - „შეასწავლოს ... პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევები;“ აზრობრივად გამართულ დებულებას მივიღებდით, თუ ნაცვლად “შეასწავლოს” გამოვიყენებდით სიტყვას - „გამოუმუშაოს“, რადგან უნარ-ჩვევის შესწავლა შეუსაბამო შესიტყვებაა;
- მიზნის მესამე პოსტულატი - „განუვითაროს განათლების სისტემის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით თეორიული ცოდნა,“ ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება მისცეს / აუმაღლოს ცოდნით შეიცვალოს, რადგან განვითარება უნარის მახასიათებელი ლექსიკური ეკვივალენტია.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ პროგრამის მიზნის მეოთხე დებულებაში - „გააცნობიეროს საგანმანათლებლო სივრცის საჭიროებები, ინკლუზიური და მულტიკულტურული განათლების პრინციპები და ზრუნავდეს მათი განვითარებისათვის;“ - გამოტანილი ინკლუზიური განათლების პრინციპები ჩვენთვის ავლენს პრობლემურობას, რადგან ინკლუზიურ განათლებასთან ძირეულად დაკავშირებულია მხოლოდ *2 არჩევითი* საგანი - „ინკლუზიური განათლება“ და „სწავლების უნივერსალური დიზაინი“. მაგისტრანტმა სავსებით შესაძლებელია, ისე დაასრულოს პროგრამა, რომ არც ერთი ამ საგანთაგან არ აირჩიოს 2 წლის განმავლობაში. უფრო გასათვალისწინებელია ასევე თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო ტენდენციები, და ადგილობრივი გამოწვევები ინკლუზიური განათლების მიმართულებით, რომლის თანახმადაც , ამ სწავლის შედეგის მქონე საგანი განათლების მეცნიერებების კვალიფიკაციის მისაღებად ძირითად საგნობრივ ბადეში უნდა მოიაზრებოდეს. წარმოდგენილი საგნების ერთობლიობა, როგორც თვითშეფასების დასაბუთების ნაწილშია აღნიშნული, მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს სტუდენტებს, შეიძინონ განათლების სფეროს შესახებ ჰოლისტური ხედვა, თუმცა კურსების შინაარსების, პრაქტიკის კომპონენტის, ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელების მსჯელობისა თუ დამსაქმებლების უკუკავშირის ანალიზის შედეგად ექსპერტებისთვის ცხადი გახდა, რომ პროგრამის მიზანი ზოგადი განათლების

სპეციალისტის მომზადებაზე უფროა ორიენტირებული. ამას საგანთა შინაარსების გადახედვაც ადასტურებს. თუმცა მიზანში ამგვარი კონკრეტიკა, არ გვხვდება. საგნებთან დაკავშირებული სირთულეებისა თუ გამოწვევების შესახებ კურსდამთავრებული თუ მოქმედი სტუდენტების ინტერვიუს დროს რეალური შედეგი არ ყოფილა, რადგან მათგან, სამწუხაროდ, ექსპერტებმა ვერ მოისმინეს ვერც ერთი კრიტიკული შენიშვნა თუ რეკომენდაცია. ზემოაღნიშნული რჩევებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ რეალურად მივიღებთ დარგის სპეციფიკით განსაზღვრულ, რეალისტურ მიზნებს, რომლებიც პროგრამის შინაარსსა და ფორმასთან სრულად კორელირებული იქნება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • საგანმანათლებლო პროგრამა; • შრომის ბაზრის მიმოხილვა; • სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია; • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, გადაიხედოს და რედაქტირდეს საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის მიზნები. შეიცვალოს რიგი დებულებების ფორმულირება როგორც სტილისტიკური, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. • რეკომენდებულია, პროგრამის მიზანში ასახული ინკლუზიური განათლების პრინციპების რელევანტურობისათვის აღნიშნული შინაარსის არჩევითი კურსი სავალდებულო საგნად განისაზღვროს. • რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში დაზუსტდეს განათლების რომელი სფეროს შესწავლაზეა ორიენტირებული პროგრამა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი განათლების მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. როგორც ინტერვიუებისა და მტკიცებულებად წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტებიდან დგინდება, სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებულია პროგრამის სამუშაო ჯგუფის მოსაზრებები, აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასებები, ბაზრის კვლევის, გარე შეფასებისა და სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები. დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით, დგინდება, რომ პროგრამის გაცნობა ფაკულტეტისა თუ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება მის დამტკიცებამდე და უკუკავშირი აისახება არსებულ პროექტსა თუ სხვა შინაარსობრივ ნაწილში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

წარამომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, ასევე, რომ პროგრამის სრულ პაკეტს, ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოების შეფასებების შემდეგ, საბოლოოდ განიხილავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეგროვებული დოკუმენტაციის სისრულის გადამოწმების მიზნით და ამის შემდეგ იგზავნება ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. პროგრამის სწავლის შედეგები ითვალისწინებს ასევე გარე ექსპერტების მიერ შემუშავებული დასკვნის შედეგებს. დეტალური მსჯელობა გარე შეფასების შესახებ იხილეთ 5.2 სტანდარტში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის თვითშეფასების დანართებს შორის არ არის წარმოდგენილი შესაბამისი მტკიცებულება - შეხვედრების ოქმები, ფაკულტეტის გადაწყვეტილებები და სხვა ტიპის დოკუმენტი, რომლებიც დაადასტურებდა მხარეების ჩართულობასა და მათ კონტრიბუციას პროგრამის შემუშავებისას. ინტერვიუების შედეგად, პროგრამის ცალკეულ კომპონენტებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე, ხშირ შემთხვევაში, არაერთგვაროვანი პასუხები მივიღეთ. გარდა ამისა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მსჯელობა, საკუთარი კონტრიბუციის აღწერისას, ძირითადად უკავშირდებოდა სასწავლო კურსის სილაბუსის შექმნას. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს პროგრამის შემუშავების ყველა ეტაპზე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პრობლემებზე.

სწავლის შედეგების ცოდნისა და გაცნობიერების ნაწილში ვხვდებით მსჯელობას - „ჩამოთვლის/აღწერს განათლების სისტემის აგების სამართლებრივ საფუძვლებს, ბავშვთა უფლებებს;“ მსგავსად წინა სტანდარტში აღნიშნულისა, ეს ორივე დასახელებული საგნობრივი ცოდნა, როგორც პროდუქტი, პროგრამის კურიკულუმში მხოლოდ არჩევით საგნებადაა გატანილი, რაც ცალსახად იძლევა საშუალებას, ამ დისციპლინათა ცოდნის გარეშე მიიღოს სტუდენტმა განათლების მაგისტრის ხარისხი.

ცალკე უნდა გავაკეთოთ აქცენტი უნარების მესამე დებულებასთან დაკავშირებით - „შეუძლია ... ადამიანური რესურსების მუდმივი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა”. პროგრამის კომპეტენციათა რუკის მიხედვით, აღნიშნული სასწავლო შედეგი მიიღწევა სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განათლებაში“ ფარგლებში. საგნის დასახელების მიუხედავად, კურსის მიზანში,

სწავლის შედეგსა თუ თემათა ჩამონათვალში ვერ ვკითხულობთ სიტყვას - განათლება და არც მითითებული ლიტერატურა იძლევა ადამიანური რესურსების მართვის განათლების კონტექსტში გააზრების საშუალებას. შესაბამისად, ვფიქრობთ, აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის უზრუნველსაყოფად, უნდა მოხდეს კურსის შინაარსის გადახედვა. პროგრამას თან ახლავს კომპეტენციების რუკა, რომელიც აღწერს სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბისობას. დოკუმენტი აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის სამ დონეს - გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმების ანალიზი გაართულა ამ მექანიზმის აღმწერ დოკუმენტებს შორის შეუსაბამობებმა. კერძოდ, კურიკულუმში მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების სქემა. აღნიშნული სქემის მიხედვით განსაზღვრულია, რომელი სასწავლო ერთეულის / შეფასების კომპონენტის ფარგლებში დააკვირდება შემფასებელი / შემფასებელთა ჯგუფი სწავლის შედეგის მიღწევას. ამავე სქემით განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები. მტკიცებულებად წარმოდგენილია ასევე სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტი, რომელშიც სწავლის შედეგების შეფასების განსხვავებული მეთოდოლიგიაა აღწერილი. აღნიშნული დოკუმენტის ძირითადი ნაწილი ეთმობა სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების სტრატეგიებს. ინტერვიუების შედეგად შესაბამის კითხვებზე ასევე მივიღეთ არაზუსტი და ურთიერთგამომრიცხავი პასუხები, რამაც გაართულა სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმების დაზუსტება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სწავლის შედეგების შეფასების წესი; • შრომის ბაზრის მიმოხილვა; • პროგრამის სილაბუსები; • ინტერვიუს შედეგები; • თვითშეფასება.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამაზე მუშაობის ყველა ეტაპზე იყოს უზრუნველყოფილი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და პროგრამაზე მუშაობის პროცესის დოკუმენტირება;
- რეკომნდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. კურიკულუმში წარმოდგენილი ინფორმაცია სწავლის შედეგების შეფასების შესახებ, შესაბამისობაში მოვიდეს შესაბამის დოკუმენტთან;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის სავალდებულო კურსების ბლოკის შინაარსი. აღნიშნული ბლოკს დაემატოს პროგრამის სწავლის შედეგის **„ჩამოთვლის/აღწერს .. განათლების სისტემის აგების სამართლებრივ საფუძვლებს, ბავშვთა უფლებებს“** რელევანტური თემატიკა / სასწავლო კურსი;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განათლებაში“ შინაარსი. აღნიშნული კურსის სწავლის შედეგები და შესაბამისი თემატიკა შეირჩეს იმგვარად, რომ სტუდენტებს მიეცეთ ადამიანური რესუსრების მართვის განათლების კონტექსტში გააზრების შესაძლებლობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების მეცნიერებების საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია სტუდენტთა მიღების წინაპირობა, კერძოდ კი, მაგისტრანტობის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერი მიმართულებით, ჩაბარებული უნდა ჰქონდეს წარმატებით საერთო სამაგისტრო გამოცდა. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა მოიცავს წერით გამოცდას პედაგოგიკასა და უცხო ენაში. აბიტურიენტმა უნდა შეძლოს მოცემული უცხოური ენებიდან ერთ-ერთის - ინგლისური, გერმანული, ფრანგული - B2 დონეზე დადასტურება საუნივერსიტეტო გამოცდით ან საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით.

პროგრამაზე, ასევე, გათვალისწინებულია შიდა და გარე მობილობის წესით გადმოსვლის შესაძლებლობაც. პროგრამაზე მიიღებიან აგრეთვე უცხო ქვეყნის მოქალაქეები უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა სავსებით შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას, იგი საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარისათვის, კერძოდ, უნივერსიტეტში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია განთავსდება ვებგვერდზე და გავრცელდება სოციალური ქსელების მეშვეობით. ასევე, აწსუ-ის მიერ ყოველ წელს ტარდება „ღია კარის დღე“ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, რომლის ფარგლებში პედაგოგიური ფაკულტეტის ადმინისტრაცია ხვდება დაინტერესულ აბიტურიენტებს და აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას.

ექსპერტთა ჯგუფს გაუჩნდა შეკითხვები თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილ მონაცემებთან დაკავშირებით, კერძოდ, მაგისტრანტობის მსურველ და პროგრამაზე ჩარიცხულ მაგისტრანთა რაოდენობას შორის უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში სრული დამთხვევა დაფიქსირდა. ცხადია, დაისვა შიდა გამოცდაზე (პედაგოგიკის) აპლიკანტთა შეფასების ობიექტურობის, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდობისა და სანდოობის საკითხი. წარმოდგენილი რიცხვებით ჩანდა, რომ შიდასაუნივერსიტეტო გამოცდას სასელექციო ფუნქცია, ფაქტობრივად, არ ჰქონდა. ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი იყო საგამოცდო ტესტის ნიმუშიც. პროგრამის ხელმძღვანელისა და მიღების პროცესში ჩართული აკადემიური პერსონალის განცხადებით, თვითშეფასების დოკუმენტში რაღაც გადაცდომა / უზუსტობა უნდა იყოს, რადგან ასეთი აბსოლუტური დამთხვევა აპლიკნტთა და ჩარიცხულ პირთა შორის არ ახსენდებათ, თუმცა, იქვე პროგრამის ხელმძღვანელის მიერ აღინიშნა, რომ პროგრამის ცვლილებასთან ერთად შეიცვალა საგამოცდო შინაარსიც და მაქსიმალურად ეცდებიან, რომ სტუდენტების მიღების პროცესში არსებული პრობლემები გამოსწორდეს.

აქვე უნდა აღინიშნოს ორი საყურადღებო საკითხიც, რომლებიც მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით გამოკვეთა ექსპერტთა ჯგუფმა. კერძოდ, საგნების ძირითად თუ დამატებით ლიტერატურაში თითქმის აბსოლუტური წილი უცხოენოვანი ლიტერატურისა უჭირავს ინგლისურენოვან საკითხავ მასალებსა თუ სახელმძღვანელოებს. აღნიშნული გარემოება არათანაბარ პირობებში აყენებს ფრანგული და გერმანული ენების მცოდნე სტუდენტებს. მნიშვნელოვანია ეს საკითხი გაითვალისწინოს პროგრამის სამუშაო ჯგუფმა და

სტუდენტებს შესთავაზოს ფრანგულ და გერმანულ ენებზე ინგლისურენოვანი ლიტერატურის ეკვივალენტური საკითხავი მასალები. მით უფრო ყურადსაღებია ეს მსჯელობა, თუ გავითვალისწინებთ სხვადასხვა სილაბუსის შეფასების ინსტრუმენტებს, რომლებშიც დამატებითი ლიტერატურის დამუშავება მაღალი ქულის მოპოვების შესაძლებლობად განიხილება. აღნიშნული ფაქტის არამართლზომიერება ინტერვიუების პროცესშიც დაადასტურა თავად პროგრამაზე მომუშავე ჯგუფმა. გასათალსწინებელია ასევე პერსონალის ენობრივი კომპეტენცია. კერძოდ, რამდენად შეძლებს პერსონალი სტუდენტის მიერ შერჩეულ უცხო ენაზე (ინგლისური, გერმნაული, ფრანგული) დამუშავებული მასალის რელევანტურობის დადგენასა და შეფასებას. აქედან გამომდიარე, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა შეიძლება გადახედოს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას უცხო ენასთან მიმართებით და წინაპირობად განსაზღვროს მხოლოდ ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. ასევე აღსანიშნავია უცხო ქვეყნის მოქალაქეების სწავლების საკითხებთან დაკავშირებული შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციები. თუკი უცხო ენის შესამოწმებლად გამოცდის ფორმატი შეეთავაზებათ მაგისტრანტობის მსურველებს, მსგავსადვე უნდა იყოს დარეგულირებული უცხო ქვეყნის მოქალაქე არაქართულენოვანი მსურველისათვის ქართული ენის B2 დონეზე დადასტურების საკითხიც. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ზემოთ დასახელებული ასპექტებისა, საერთო ჯამში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურად დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საგანმანათლებლო პროგრამა; ● თვითშეფასება; ● დადგენილება №12(17/18)), „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესის შესახებ“ ● ინტერვიუს შედეგები; ● წერითი გამოცდის ნიმუში; ● ფაკულტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები:

- შემუშავდეს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდაზე შეფასების ისეთი პროცედურა და შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც უზრუნველყოფს შეფასების სანდოობას, ვალიდურობასა და ობიექტურობას;
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) დადასტურების პირობები და შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის შინაარსსა და პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ სასწავლო რესურსებთან;
- განისაზღვროს პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უცხო ქვეყნის არაქართულენოვანი მოქალაქეებისთვის ქართული ენის B2 დონეზე დადასტურების პირობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი. 4 (ოთხი) სემესტრი, პროგრამით განსაზღვრული კრედიტების საერთო რაოდენობა - 120, რომელთაგან სასწავლო კომპონენტს 95 ECTS, ხოლო კვლევით კომპონენტს 25 ECTS ეთმობა. პროგრამა შინაარსობრივად შემდეგნაირადაა დალაგებული: პროგრამის სავალდებულო კურსები (65 ECTS), პროგრამის არჩევითი საგნები (20 ECTS) პროფესიული პრაქტიკა (10 ECTS) და სამაგისტრო ნაშრომი (25 ECTS). პროგრამის შინაარსის განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებული იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (QA-პოლიტიკა) და ფაკულტეტზე დაგროვილი მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება, ასევე დამსაქმებლების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. პროგრამის დაგეგმვა ითვალისწინებს აწსუ-ის ხარისხის მართვის შესაბამის პროცედურებსა და ნორმატივებს, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურას. როგორც პროგრამის კურიკულუმიდან და ინტერვიუებიდან იკვეთება, პროგრამამ მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა, დაემატა განათლების მეცნიერებების სფეროსთვის მნიშვნელოვანი საგნები არჩევითი თუ სავალდებულო სტატუსით, ასევე გაძლიერდა კვლევის მიმართულება და მაგისტრანტებისთვის შესაძლებელი გახდა უცხო ენის სასწავლო საგნად შეთავაზებაც. სასწავლო კურსების თანმიმდევრობა 4 სემესტრის განმავლობაში ეფუძნება შემდეგ ლოგიკას: (1) გაცნობითი სახის კურსები; (2) ცოდნის გაღრმავება; (3) ცოდნის განმტკიცება, რომელიც ძირითადად სასკოლო პრაქტიკისა და კვლევითი კომპეტენციის გაძლიერებას ემსახურება. უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი გადანაწილება, როგორც წესი, სემესტრულ თანმიმდევრობას უფრო ეყრდნობა, ვიდრე საგანთა კლასიფიკაციას მისაღწევი სწავლის შედეგის დონის თვალსაზრისით. ამ ნიშნით, აღნიშნული კომპონენტების საგნებისადმი მინიჭება აჩენს გარკვეულ კითხვებს. ასე მაგალითად, საგანი „სამეცნიერო წერის საფუძვლები“ ვერ იქნება გაცნობითი (1) კურსი, თუნდაც იმიტომ, რომ აკადემიური წერის საგანი წარმოდგენილ უნივერსიტეტში სოციალური და ჰუმანიტარული (რომლების სტუდენტებიც განათლების მეცნიერებების პროგრამის ძირითად მსურველებს წარმოადგენენ) მიმართულებების ფაკულტეტებზე ისწავლება და, ზოგადადაც, ეს კურსი თანამედროვე ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში თითქმის ყველა საბაკალავრო პროგრამის საუნივერსიტეტოს სავალდებულო საგნადაა გაწერილი. შესაბამისად, სამაგისტრო საფეხურზე, როგორც მინიმუმ, ეს დისციპლინა ცოდნის გაღრმავების კონტექსტს უნდა მიემართებოდეს. ექსპერტებს ასევე გაუჩნდათ შეკითხვები არჩევით საგნებთან დაკავშირებით, რომლებიც ბლოკების სახითაა პროგრამაში წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ საგანთა დაყოფა

მხოლოდ სემესტრული გადანაწილების ლოგიკას ეყრდნობა და კლასიფიკაციის სხვა შესაძლებლობას არ იყენებს. ამასთან მიმართებით გამოითქვა მოსაზრება, რომ არჩევით საგნებად წარმოდგენილი საგნები ნამდვილად იძლევა შესაძლებლობას, გადაჯგუფდეს გამოსამუშავებელი კომპეტენციის ლოგიკით, რაც მისცემს შესაძლებლობას სტუდენტს, განათლების მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი საგნობრივი კომპეტენციისა და უნარის მეტ-ნაკლები შესაბამისობისა და საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით შეარჩიოს სასწავლო კურსი. ასე მაგალითად, განათლების სოციოლოგია და სოციალური პედაგოგიკა ერთ ბლოკში განთავსდეს, ასევე ერთ ბლოკში შეიძლება განათლების პოლიტიკისა და მართვის და კომუნიკაციური და ორგანიზაციული უნარ-ჩვევების განვითარების საგნების თავმოყრა. სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა არჩევითი 20 კრედიტის ფარგლებში გარკვეული მოდულების შეთავაზება, რაც განათლების მეცნიერებების საკმაოდ ზოგადი განზომილების პირობებში გაცილებით კონკრეტული უნარით აღჭურვავდა მომავალ სპეციალისტს. მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ თვითშეფასების ანგარიშში, დასაბუთების ნაწილში, სწორედ ამ შედეგს - მაღალხარისხიანი განათლების სპეციალისტი - უსახავენ ავტორები მიზნად პროგრამას. მოცემული არჩევითი საგნების შეთავაზება კი ამ ეტაპზე არ ავლენს პროგრამის კონცეფციასთან მისი მიმართების სურათს ჯეროვნად.

გასათვალისწინებელია ასევე, რომ მხოლოდ სამი სასწავლო კურსისთვის არის განსაზღვრული დაშვების წინაპირობა. პროგრამის სასწავლო კურების შესწავლის შედეგად, გამოვლინდა კურსები, რომელთა ათვისებისთვისაც საჭიროა განისაზღვროს დაშვების წინაპირობა, მაგ. „პრაქტიკის კვლევა“, რომელიც შეთავაზებულია მე-2 სემესტრში. პრაქტიკის კვლევის დიზაინის ასათვისებლად და შესაბამისი სწავლის შედეგის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, სტუდენტს ჰქონდეს საბაზისო კვლევითი უნარ-ჩვევები და გავლილი ჰქონდეს სასწავლო კურსი სოციალურ მეცნიერებებში კვლევის მეთოდების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია (დამტკიცებულია: აწსუ აკად. საბჭის დადგენილებით №49 (17/18) 09.02.2018);
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრების შედეგები
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს არჩევითი კურსების ბლოკები. გადაჯგუფდეს სასწავლო კურსები ბლოკებში შესაბამისი სფეროების მიხედვით;
- პროგრამის სტრუქტურის ლოგიკური განვითარებისა და ათვისების უზრუნველსაყოფად გადაიხედოს სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს 14 სავალდებულო, 12 არჩევითი სტატუსის სასწავლო დისციპლინას და კვლევით კომპონენტს სთავაზობს. წარმოდგენილი სასწავლო კურსები შინაარსობრივად კომპლექსურია და მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

წარმოდგენილ პროგრამაში სავალდებულო საგნები, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ძირითადად 5-კრედიტიანია და შეესაბამება ECTS კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სახელმძღვანელო პრინციპებს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამის რეგულაციებს. წარმოდგენილი სილაბუსების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შინაარსი შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს.

სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურა ძირითადად შეესაბამება განათლების სფეროში არსებულ მნიშვნელოვან მიმართულებებს. შერჩეული ლიტერატურა თანამედროვეა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფს გაუჩნდა რამდენიმე მოსაზრება როგორც სილაბუსებში არსებულ ზოგად ტენდენციებთან, ისე კონკრეტულ საგნებთან დაკავშირებით. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ სილაბუსის დადგენილი ფორმატი არ იძლევა საშუალებას საგნის თემატიკასთან დაკავშირებული მასალის იდენტიფიცირებისა. ხშირად, ძირითად ლიტერატურაში ჩამოთვლილია ორ ათეულამდე წიგნი („განათლების ფილოსოფია“ სავალდებულო ლიტერატურაში დასახელებულია 23 ნაშრომი, საგნის „კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში“ – 16, „პრაქტიკის კვლევის“ ფარგლებში - 19, „თანამედროვე პედაგოგიურ აზროვნებაში“ – 21, „სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები“ – 20). და ბუნდოვანია თემატურად მათი მიმართება სასწავლო კურსის ცალკეულ თემებთან. აღნიშნული ფორმატი ართულებდა, როგორც სავალდებულო ლიტერატურის მოცულობის რელევანტურობის დადგენას, ისე საგნის შინაარსის სიღრმისეულ ანალიზს. ამასთან, ნაშრომთა გარკვეული ნაწილი ფარავს იმ საკითხებს, რომლებზეც სავალდებულო ლიტერატურაში სხვა წყაროებია მითითებული. კარგი იქნება მათი გადანაწილება დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში; ვფიქრობთ, აუცილებელია თითოეულ თემას შესაბამისი სახელმძღვანელო მიესადაგოს შესაბამისი გვერდების მითითებით. ამგვარი ფორმატი, პირველ რიგში, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის პრინციპების დაცვით იქნებოდა ნაკარნახევი და გარდა ამისა, გააიოლებდა სავალდებულო ლიტერატურის მოცულობის რელევანტურობის დადგენას.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სხვადასხვა საგნის სილაბუსში შეფასების ინსტრუმენტებისა თუ კრიტერიუმების აბსოლუტური გამეორება, კურსის საჭიროების გათვალისწინების გარეშე. მაგალითად, კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 2-ის შეფასების კონცეფცია აბსოლუტურად იმეორებს კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 1-ის სტუდენტის შეფასების მიდგომებს, იმის გათვალისწინებით, რომ საგნობრივი შინაარსი მკაფიოდ განსხვავდება, ისევე როგორც მიზანი და სწავლის შედეგიც

ამ კურსებისა. ამავე კურსთან (კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 2) დაკავშირებთ უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის შეუძლებლად მიაჩნია ექსპერტთა ჯგუფს ერთ სალექციო-სასემინარო საათზე შეძლო რაოდენობრივი მონაცემების დამუშავების SPSS პროგრამის სწავლება, რაზეც ინტერვიუს დროსაც დაისვა შეკითხვა, თუმცა დამაჯერებელი პასუხი ვერ მივიღეთ.

ასევე არამართებულად მიგვაჩნია ზოგიერთ სილაბუსში დახურული, არჩევითპასუხიანი დავალებებისათვის 2 ქულის მინიჭება. ტესტის დიზაინისა და ფსიქომეტრიკის პრინციპების გათვალისწინებით, დახურული, შემოსახაზი დავალების შეფასების 2-ქულიანი ჩაშლის შესაძლებლობა არც ერთ შესაბამის სახელმძღვანელოში არ განიხილება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების მეთოდებისა და ინსტრუმენტების შესახებ დეტალური შეფასება იხილეთ შესაბამისი სტანდარტის აღწერაში.

საგანის „განვითარებისა და სწავლების თეორიები“ მიზანში გვაქვს ამგვარი ფორმულირება: „შეასწავლოს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნები; შეასწავლოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის სპეციფიკა.“ მიზნის მოცემულ ფორმულირებაში ლოგიკური დუბლირება გვაქვს, რადგან პირველი პუნქტი ცალსახად გულისხმობს მეორე პუნქტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი საგნის მიზნად მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესწავლა არარეალური და არამიღწევადია. ამავე საგანში შეფასების ინსტრუმენტად რეფერატია განსაზღვრული, თუმცა შეფასების მეთოდებში წიგნზე მუშაობის მეთოდს ვერ ვხვდებით. მოცემულ საგანთან დაკავშირებით იკვეთება სხვა პრობლემაც, შეფასების სქემის მიხედვით, მაგისტრანტი 100 ქულიდან 70 ქულას 1-ქულიანი არჩევითპასუხიანი დავალებებით აგროვებს, რაც კურსის სწავლის შედეგების მიღწევის გასაზომად არარელევანტური შეფსების ინსტრუმენტია.

არჩევით საგანში „სწავლების უნივერსალური დიზაინი“ თემების თითქმის მესამედი მოტანილია იმ სახელმძღვანელოდან, რომელიც დამხმარე ლიტერატურაშია წარმოდგენილი- „ინკლუზიური ადრეული განათლება, საფუძვლები“. ცხადია, საჭიროა მისი ძირითად სახელმძღვანელოთა ჩამონათვალში გადასმა.

ამასთან, გამოიკვეთა სხვა პრობლემური საკითხები:

იკვეთება ზოგიერთი სასწავლო კურსის („დემოკრატიული მულტიკულტურული განათლების საფუძვლები“, „განათლების ფსიქოლოგია“, „განვითარებისა და სწავლების თეორიები“, „სოციალური პედაგოგიკა“ და სხვა) სილაბუსების შინაარსის მეტი სიცხადის საჭიროება, კერძოდ, სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსებიდან ირკვეოდეს ჯერ კონკრეტული განსახილველი თემის სათაური, შემდეგ სათაურის ქვეშ კი - ასახსნელი საკითხის მოკლე აღწერა;

ასევე, ზოგიერთი საგნის სილაბუსით აქტივობის ქულის გადანაწილების საკითხი მოითხოვს გადახედვას. კერძოდ, სასწავლო კურსის „კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში“ აქტივობის 30 ქულა გადანაწილებულია შემდეგნაირად: 1-ქულიანი ჯგუფური მუშაობა ტარდება 15 კვირის განმავლობაში (სულ 15 ქულა), 10-ქულიანი კვლევა - 1 კვირაში და 5-ქულიანი კვლევის ანალიზი - 1 კვირაში . აქედან ჩანს, რომ სტუდენტთა აქტივობა სემესტრში უნდა იყოს 17-ჯერ ჩატარებული (15+1+1=17), არადა პირველი გაცნობითი სემინარია და აქტივობა ვერ ჩატარდება, შუალედური გამოცდის კვირას ასევე არ ტარდება გამოკითხვა, შესაბამისად, სტუდენტთა აქტივობისთვის რჩება 12-13 კვირა (და არა 17). ამდენად, დარჩენილი კვირის ფარგლებში ვერ ჩატარდება 17 გამოკითხვა. დაახლოებით ანალოგიური პრობლემაა სასწავლო კურსის „მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ეთიკა“ სილაბუსში ასახული: 15-ჯერ ტარდება 1-ქულიანი ჯგუფში აქტივობა, ასევე, გათვალისწინებულია 15-ქულიანი 1 ზეპირი პრეზენტაცია. არადა სტუდენტთა აქტივობისთვის ფიზიკურად შესაძლებელია მაქსიმუმ 13 კვირის გამოყენება;

გარდა ამისა, არის გარკვეული ტექნიკური ხარვეზები: მაგალითად, სასწავლო კურსის „განათლების სისტემის მართვის სამართლებრივი საფუძვლები“ სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია კანონები. (ა) კარგი იქნება, კანონების სპეციფიკის გათვალისწინებით, ისინი „ნორმატიული მასალის“ ქუდქვეშ იყოს წარმოდგენილი; (ბ) ასევე, გასასწორებელია ზოგიერთი კანონის სახელწოდება („შრომის კანონთა კოდექსის“ ნაცვლად, უნდა ეწეროს ორგანული კანონი „შრომის კოდექსი“; „საჯარო სამსახურის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის ნაცვლად, უნდა აისახოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონი. ამასთან, საგნის „სოციალური პედაგოგიკა“ სილაბუსით გათვალისწინებულია საქართველოს კანონის პროექტი „სოციალური მუშაკის შესახებ“, თუმცა ამჟამად მოქმედებს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მიღების თარიღია: 2018 წ. 19 ივნისი); (გ) ამავე დროს, აუცილებელია, პირველ რიგში, კანონების მიღების თარიღი მიეთითოს (და არა მხოლოდ მიღების წელი), ხოლო კანონის მიღების თარიღის ასახვის შემდეგ ფრჩხილებში გაჩნდეს ჩანაწერი „ბოლო რედაქციით“. ამით გამოიკვეთება, რომ მაგისტრანტები ეცნობიან კანონებს უახლესი ცვლილებებით. მაგალითად, სასწავლო კურსის „განათლების სისტემის მართვის სამართლებრივი საფუძვლები“ სილაბუსით „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონს უწერია 2015 წელი, არადა მიღების თარიღია 2004 წლის 21 დეკემბერი, ასევე, „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის მიღების თარიღად 2015 წელი, არადა უნდა ეწეროს 2005 წლის 8 აპრილი. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის გვერდით, ნაცვლად 2008 წლისა, უნდა იყოს მითი-თებული 1999 წლის 28 მაისი; (დ) ზოგიერთი საგნის (მაგალითად, „მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ეთიკა“, „განათლების ფსიქოლოგია“ და სხვა) ჯერ მითითებულია ლექცია, ხოლო შემდეგ პრაქტიკული იმავე თემაზე, მაგრამ იმავე საკითხზე პრაქტიკული ფიზიკურად შესაძლებელია მხოლოდ შემდეგ კვირას ჩატარდეს. აუცილებელია ამ შეუსაბამობის გასწორება.

სასწავლო კურსის „სწავლების უნივერსალური დიზაინი“ სავალდებულო ლიტერატურაში მე-5 წყაროდ მითითებულია ბმული, მაგრამ როცა გადავდივართ ამ ბმულზე, იწერება, რომ ყიდვაა აუცილებელი, რის გამოც არ არის ხელმისაწვდომი. საგნის „სწავლების უნივერსალური დიზაინი“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული მე-2 და მე-4 წყაროს ბმული არ იხსნება;

სასწავლო კურსის „ბავშვთა უფლებები“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურაში დასახელებულია სამი კანონი, სოციალურ მუშაობასთან დაკავშირებული ერთი ნაშრომი, ერთი ბავშვის უფლებებიდან სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლებაზე კვლევა (2009), თუმცა სილაბუსის შინაარსში არ ჩანს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის უფლების განხილვა. ამასთან, ეს კვლევა ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეების მოკლე შინაარსს მოიცავს და შედგება დაახლოებით 30 გვერდისგან. საბოლოო ჯამში, ამ საგნის სავალდებულო ლიტერატურაში რჩება 2018 წლის „ბავშვთა უფლებათა კვლევა“, რომელსაც უწერია 1-9 კლასი. მართალია, აღნიშნულს შესაძლოა, გარკვეულწილად ავსებდეს დამხმარე ლიტერატურაში მითითებული უცხოენოვანი ნაშრომები, მაგრამ როცა ქართულ ენაზე მოიძებნება კონკრეტული ნაშრომები, მნიშვნელოვანია, რომ სავალდებულო ლიტერატურით იყოს ისინი განსაზღვრული. მაგალითად, სასურველია, ამ საგანში ლ. ლურსმანაშვილის თარგმანის „ბავშვის უფლებების ევროპული სახელმძღვანელო“ გამოყენებაც (გამოიცა 2015 წელს). ამავე დროს, „ბავშვთა უფლებების“ სილაბუსში კარგი იქნება, შინაარსში გამოიკვეთოს ბავშვის საუკეთესო ინტერესი, მისი გამოვლენის ფორმები და თავისებურებები;

სავალდებულო ლიტერატურაში ასახული კანონების დასათაურებისა და მიღების თარიღის ხარვეზები.

გარდა ამისა, საგნის „მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ეთიკა“ სილაბუსში მე-11 თემად გათვალისწინებულია კოგნიტური თეორია, სოციალ-კულტურული, ფსიქოსოციალური განვითარების თეორია, ხოლო მე-12 თემად - ბიჰევიორისტული და ჰუმანისტური თეორიები. საგნის „განვითარებისა და სწავლების თეორიები“ მე-2 ლექცია ეძღვნება კოგნიტურ თეორიას, მე-3 ლექცია - სოციოკულტურულ თეორიას, კონსტრუქტივიზმს, მე-4 - სოციალური განვითარების თეორიას, მე-5 - გარდნერის მრავალმხრივი ინტელექტის თეორიას, მე-6 - ფსიქოსოციალური განვითარების თეორიას, მე-7 - ჰუმანისტურ თეორიასა და მოთხოვნილებათა იერარქიას. ამდენად, ჩანს ამ ორი საგნის გადაკვეთისა და ურთიერთგადაფარვის პრობლემა. ასევე, საგნის „განათლების ფსიქოლოგია“ სილაბუსში ბოლო სამი კვირის თემად წარმოდგენილია პიაჟეს, ვიგოტსკისა და ბრუნერის მოძღვრებები, ხოლო სასწავლო კურსის „განვითარებისა და სწავლების თეორიები“ მოცემულია კოგნიტური, სოციოკულტურული და სოციალური განვითარების თეორიები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება ;
- ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები, კურსის ფარგლებში შეთავაზებული თემების გადაფარვის გამორიცხვის მიზნით;
- რეკომენდებულია, ერთი სასწავლო კურსისთვის, მისი მოცულობის გათვალისწინებით, განისაზღვროს რელევანტური მოცულობის თემატიკა;
- რეკომენდებულია, თითოეული სალექციო თემისთვის განისაზღვროს სავალდებულო ლიტერატურა გვერდების მითითებით. აღნიშნული ინფორმაცია აისახოს კურსების სილაბუსებში;
- ზოგიერთი სასწავლო კურსის („კვლევის თანამედროვე მეთოდები განათლებაში 2“, „მასწავლებლის პროფე-სიული განვითარება და ეთიკა“) სილაბუსით აქტივობების შეცვლა-შემცირება ისე, რომ სემესტრის განმავლობაში რეალიზებადი იყოს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ტექნიკური ხარვეზების გასწორება;
- სასწავლო კურსის „ბავშვთა უფლებების“ სილაბუსის სავალდებულო ლიტერატურის შევსება უახლესი ქართულენოვანი ლიტერატურით;
- სასურველია, სასწავლო კურსების სილაბუსების დამხმარე ლიტერატურაში აისახოს როგორც უახლესი ქართულენოვანი პერიოდული გამოცემები, ისე უცხოენოვანი ნაშრომები.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა აკადემიურ განვითარებას სხვადასხვა გზით. კურსების სასწავლო პროგრამა მოიცავს ლექციების, სემინარების და პრაქტიკული დავალებების ერთობლიობას, რაც ეხმარება ცოდნისა და უნარების განვითარებას სწავლის შედეგების შესაბამისად. წარმოდგენილ პროგრამაში დაგეგმილია სკოლებში პროფესიული პრაქტიკის პერიოდში წარმოშობილი მნიშვნელოვანი პრობლემების, საჭიროებების ან/და სტუდენტისთვის მნიშვნელოვანი საკითხების კვლევა სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, რომელიც მთლიანად ასახავს სტუდენტის მიერ პრაქტიკის განხორციელების შინაარსს, მოიცავს სტუდენტის მიერ თეორიული მასალის მიმოხილვას, სიახლეს, კვლევის მეთოდოლოგიას და ა.შ. პროგრამას მტკიცებულების სახით ახლავს სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და შესრულების ინსტრუქცია. გარდა ამისა, კვლევის პროცესის აღწერილობა მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში. კვლევაზე მუშაობის პირობები, კვლევაში ჩართულ მხარეთა ვალდებულებები აღწერილია სკოლებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში. უნდა აღინიშნოს, რომ სამივე დოკუმენტში მოცემულია ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, რამაც მთლიანობაში გაართულა სამაგისტრო კვლევით პროექტზე მუშაობის პროცესის დაზუსტება. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამაში, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, დაგეგმილია პრაქტიკის კვლევა. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის აღმწერი არც ერთი დოკუმენტი არ ასახავს პრაქტიკის კვლევის, როგორც კვლევის დიზაინის სპეციფიკას. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში შეინიშნება შემდეგი ხარვეზები: კურიკულუმით განსაზღვრულია, რომ თუ მაგისტრანტის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ს მიიღებს, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში (აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ ნაშრომის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ). ფრჩხილებში

არსებული ჩანაწერი არის მნიშვნელოვანი და კანონმდებლობის მოთხოვნაა. თუმცა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში გვხვდება სხვა ჩანაწერი იმის შესახებ, რომ FX-ის (41-50 ქულის) მიღებისას „სტუდენტს ეძლევა“, რის შემდეგაც აზრი არაა დასრულებული. თუ აქ მოიაზრება, რომ სტუდენტს, ასეთ შემთხვევაში, ეძლევა დაცვაზე ხელმეორედ გასვლის უფლება (რაც გამომდინარეობს FX-ის შეფასების სპეციფიკიდან), მაშინ ეს ჩანაწერი ეწინააღმდეგება როგორც კურიკულუმს, ისე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“. ამ ბრძანების მე-4 მუხლის მე-19 პუნქტით დადგენილია, რომ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით ან ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების დროს მაგისტრანტი კარგავს იმავე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. ამდენად, ამ წესს უნდა შეესაბამებოდეს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსიც.

(გ) ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების ინსტრუქციის მიხედვით, „პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში საბაკალავრო ნაშრომის დაცვა გადაიდება ორი სემესტრით“ (აქ, ალბათ, ტერმინი „სამაგისტრო ნაშრომი“ უნდა ეწეროს, ნაცვლად „საბაკალავრო ნაშრომისა“). სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში გვხვდება სხვა ჩანაწერი, კერძოდ, „ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის ან პლაგიატის შემთხვევაში დაცვა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით გადაიდება ერთი სემესტრით.“ პირველ რიგში, აუცილებელია, ეს ინსტრუქცია და დასახელებული სილაბუსი არ ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. მნიშვნელოვანია ასევე თავად სტუდენტის მიერ შერჩეული კვლევის დიზაინი. თუ სტუდენტი პრაქტიკის კვლევას ატარებს სკოლაში, მაშინ სამაგისტრო ნაშრომის გადადების თარიღი კვლევის სპეციფიკის, მისი კომპლექსურობის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ეს ინტერვიუს დროს დაადასტურა კიდეც სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა და აღნიშნა, რომ დოკუმენტში შესაბამისი ჩანაწერი ტექნიკურად უნდა გასწორდეს. ამდენად, აუცილებელია ამ ხარვეზის აღმოფხვრა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნებისმიერ შემთხვევაში გასასწორებელია ორი დოკუმენტის (სილაბუსისა და ინსტრუქციის) შეუსაბამობები და გასათვალისწინებელია კანონის მოთხოვნები სრულად, ან კარგი იქნება სილაბუსისა და ინსტრუქციის გაერთიანება (თუ მათ ცალ-ცალკე არსებობას რაიმე სპეციფიკური დატვირთვა არ აქვს.) კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით.

გარდა ამისა, ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ხელმძღვანელი და რეცენზენტი შეიძლება სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის კომისიაში იყვნენ წარმოდგენილნი და აფასებდნენ

კიდეც. მნიშვნელოვანია, დეტალურად გაიწეროს რეცენზენტისა და ხელმძღვანელის ნაშრომების შეფასების პროცესში მონაწილეობის პირობები და აცილების შემთხვევები. ამ და ზემოაღნიშნული სხვა შეუსაბამობებისა თუ ბუნდოვანების თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქცია. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი შესაბამისობაში მოვიდეს აღნიშნულ დოკუმენტსა და სკოლებთან დადებულ მემორანდუმებთან. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას აღწერს სასწავლო კურსის სილაბუსი "პროფესიული პრაქტიკა". აღნიშნული დოკუმენტში მოცემულია კურსის ფარგლებში გათვალისწინებული კომპეტენციების განვითარებისა და შეფასების პირობები. პროგრამას არ ახლავს დოკუმენტი, რომელშიც აღწერილი იქნება პრაქტიკის კომპონენტის სრული ციკლის მიმდინარეობის ეტაპები, პრინციპები, მეთოდები, სკოლებში სტუდენტთა განაწილების მექნიზმი, პრაქტიკის განხორციელებაში ჩართული მხარეების ვალდებულებები, ინსტრუქციები, პრაქტიკის განხორციელებასა და შეფასებაში პარტნიორი სკოლების მონაწილეობის შესაძლებლობები და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • მემორანდუმები; • სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და შესრულების ინსტრუქცია; • სილაბუსები; • თვითშეფასება; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და შესრულების ინსტრუქცია. შესაბამისობაში მოვიდეს ის სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსსა და სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმის პირობებთან; • შემუშავდეს პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის აღმწერი ერთიანი დოკუმენტი, რომელიც შესაბამისობაში მოვა პროფესიული პრაქტიკის სილაბუსთან, სკოლებთან გაფორმებული მემორანდუმის პირობებსა და ზოგადაუნსივერსიტეტო პრაქტიკის დოკუმენტთან;
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში პროგრამაში გამოყენებულია მრავალფეროვანი სწავლის/სწავლების მეთოდები, რომლებიც შეესაბამება კურსის მიზნებს, ორიენტირებულია სწავლის შედეგებზე და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, კერძოდ: ● ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდები; ● თვალსაჩინოების (დემონსტრირების/მოდელირების) მეთოდები; ● დისკუსია/დებატები; ● კოოპერაციული (ჯგუფური და წყვილებში) მუშაობა; ● კოგნიტური სქემები ● სიტუაციური ამოცანის/შემთხვევის ანალიზი;

- o სიუჟეტურ-როლური თამაში/სიმულაცია;
- o არგუმენტირებული/კრიტიკული ესსე, ღია/დახურული ტესტი.
- o ანალიზისა და სინთეზის მეთოდი.

კურიკულუმში წარმოდგენილი ზემოაღნიშნული ჩამონათვალი მოიცავს არა მხოლოდ სწავლების მეთოდებს, არამედ ორგანიზების ფორმებს, სტრატეგიებს, აქტივობებსა და მეთოდებს. ამიტომ, მნიშვნელოვანია დაზუსტდეს და აღნიშნულ ბლოკში, მისი დასახელების შესაბამისად, მოხდეს მხოლოდ სწავლების მეთოდების იდენტიფიცირება.

პროგრამის სწავლება/სწავლის განსხვავებული ფორმატია პროფესიული პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევა, რომლებიც „მხარდაჭერილია“ სხვა სახის სწავლების ფორმატებით, როგორებიცაა ლექცია/სემინარი/პრაქტიკული მეცადინეობა, ექსპერტთა ფორუმის ფარგლებში დისკუსია/დებატები, საჭირო უნარ/ჩვევებში ტრენინგი ან/და სკოლაში პრაქტიკა (კონკრეტული სასწავლო ქეისისთვის საჭირო ფორმატით ორგანიზებული და განსაზღვრული).

სილაბუსების შესწავლისას გამოვლინდა გაკვეული უზუსტობა სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით. კერძოდ, საგნის „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა განათლებაში“ სილაბუსში როლური თამაში გამოყენებულია სტუდენტის აქტივობის ფორმად, კერძოდ, ტარდება 3-ჯერ და ფასდება 2 ქულით. არადა როლური თამაში არის სწავლება-სწავლების მეთოდი და არა შეფასების მეთოდი. ანალოგიურად არის ეს მეთოდი გამოყენებული სასწავლო კურსის „ციფრული და მედიაწიგნიერება“ სილაბუსში.
მთლიანობაში სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათი სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- ინტერვიუს შედეგები;
- გამოკითხვის შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შეფასების ინსტრუმენტები მკაფიოდ გაიმიჯნოს სწავლება-სწავლის მეთოდებისგან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, მეტწილად გამჭვირვალე და კანონმდებლობასთან მეტწილად შესაბამისია.

განათლების მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, სტუდენტთა შეფასება მოიცავს 100-ქულიან სისტემას, საიდანაც არანაკლებ 30 ქულით ფასდება სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში, არანაკლებ 30 ქულით ფასდება შუალედური გამოცდა და არანაკლებ 40 ქულით დასკვნითი გამოცდა.

აღნიშნული მექანიზმი, ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის შეფასების სისტემაში ქულების თანაფარდობის შეცვლას.

სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვარი არ აღემატება 60%-ს და შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან.

შუალედური შეფასებისთვის, შუალედური ტესტური გამოცდის გარდა, გამოიყენება ისეთი მრავალჯერადი შეფასების მეთოდები, როგორებიცაა: წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა, დებატები, დისკუსია და ა.შ. აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ განათლების მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების დიდი ნაწილის შეფასების სისტემა უნიფიცირებულია. 100 ქულიდან ლექტორს მხოლოდ 30 ქულის განსაზღვრა შეუძლია სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისად. ყველა სასწავლო კურსში სტუდენტთა შეფასება შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე ხდება მხოლოდ ტესტირების საშუალებით. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით პრობლემატურია პრაქტიკული კურსების შეფასებისას, რომელთა ფარგლებში მიღებული ცოდნისა და კომპეტენციის დემონსტრირებას სტუდენტი პრაქტიკული დავალების ფარგლებში ახდენს. ასეთ შემთხვევაში სტუდნეტის პრაქტიკული უანრების შეფასებისთვის ტესტირების გამოყენება არარელევანტურია.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ რამდენიმე სასწავლო კურსში სტუდენტს მაქსიმალური ქულა ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დაამუშავებს დამატებით ლიტერატურასაც, თუმცა აღსანიშნავია, რომ დამატებით ლიტერატურად მოცემულია მხოლოდ ინგლისურენოვანი წყაროები, რაც არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს ინგლისურენოვან სტუდენტებს პროგრამაზე სხვა უცხო ენით ჩარიცხულ სტუდენტებთან შედარებით (პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების შესახებ მსჯელობა იხილეთ 2.1 სტანდარტში).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მოწვეული და აკადემიური პერსონალის მხარდაჭერას შეფასების თანამედროვე მეთოდების მხრივ უნარების განვითარების მიმართულებით.

განათლების მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო კომპონენტის სახით მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და დაცვას. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და შესრულების ინსტრუქცია, გარდა ამისა, ასევე წარმოდგენილია განათლების მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს ვერ დადგინდა წარმოდგენილი ორი დოკუმენტიდან რომლით ხდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, აღნიშნულ დოკუმენტებში განსხვავებულადაა წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების პროცედურები, შეფასების სისტემა, კრიტერიუმები და რუბრიკები (დეტალურად იხილეთ 2.4 სტანდარტის კომპონენტი.).

განათლების მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო სახით მოიცავს „პროფესიულ პრაქტიკას“ (10 ECTSკრედიტი), რომლის ფარგლებშიც სტუდენტის შეფასება გაწერილია: საგანმანათლებლო დაწესებულებების

სწავლება-სწავლისა და მართვის სისტემის გაცნობა და შეფასება - 70 ქულა, პროფესიული პრაქტიკის დღიურის წარმოება - შეფასება 10 ქულა და პროფესიული პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია/დაცვა - მაქსიმალური შეფასება 20 ქულა, შეფასების დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში, ცნობილია სტუდენტებისთვის და უზრუნველყოფს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადგინდა, რომ შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია ელექტრონულ სასწავლო პორტალზე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის. ასევე პროგრამის სტუდენტებთან, მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აღნიშნული მიზნისათვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალის სისტემა, ასევე როგორც პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუსას გაირკვა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ ლექტორები აცნობენ სტუდენტებს შედეგებს და უთითებენ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აგრეთვე განიხილავენ დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა, რაც ასევე დაადასტურეს პროგრამის სტუდენტებმა; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საგამოცდო პროცესის, ორგანიზებულად ცენტრალიზებულად წარმართვის და გამოცდების აპელაციის წესის“ მიხედვით, სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული აპელაციით მიმართოს რექტორის მოადგილეს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა, სტუდენტის აპელაციას ორი სამუშაო დღის ვადაში განიხილავს კომისია, რომელიც ხელახლა აფასებს სტუდენტის ნაშრომს. რაც შეეხება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვას, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი პლაგიატის თავიდან ასაცილებლად იყენებს „turnitin“-ის პროგრამას, ასევე უსდ-ს შემუშავებული აქვს „პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების“ წესი.

აკრედიტაციის დისტანციური ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) წარმოადგენდა მხოლოდ (A) ფრიად და (B) ძალიან კარგ შეფასებებს, ასევე ბოლო 5 წლის სამაგისტრო ნაშრომების შეფასებაც მოიცავს მხოლოდ (A) ფრიად და (B) ძალიან კარგ შედეგებს, აღნიშნულიდან გამომდინარე. აღნიშნული გარემოება ეჭვქვეშ აყენებს შეფასების ობიექტურობას, სანდოობასა და ვალიდობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor)

საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესის, ორგანიზებულად ცენტრალიზებულად წარმართვის და გამოცდების აპელაციის წესი (აკადემიური საბჭოს დადგენილება № 10); ● საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3 2007 წლის 5 იანვარი; ● გამოკითხვის შედეგები; ● თვითშეფასების დოკუმენტი; ● უნივერსიტეტის ვებგვერდი; ● ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია, შუალედურ და დასკვნით გამოცდაზე შეფასების ფორმებისა და მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებული იყოს კურსის სპეციფიკა და შინაარსი; ● უცხოენოვანი ლიტერატურის დამუშავებაში სტუდენტისთვის ქულის მინიჭების შემთხვევაში ლიტერატურა ხელმისაწვდომი იყოს პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობით განსაზღვრულ ყველა უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული), რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს ქულის მოპოვების თანაბარი შესაძლებლობა ან შეფასებისას აღნიშნული უპირატესობების მინიჭების მექნიზმი მოიხსნას; ● რეკომენდებულია, უნივერსიტეტში დაინერგოს შეფასების მეთოდების, ფორმებისა და შეფასების პროცედურების ობიექტურობის, სანდოობისა და ვალიდობის უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

   პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, სასწავლო პერსონალსა და მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტი მეტწილად უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებასა და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც დამატებით მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთან, გასაუბრების პროცესში ანალოგიური ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებმა

აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ, მეტიც, როგორც უნივერსიტეტში, ისე ელექტრონულ რეჟიმშიც აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურება სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნული სამსახური სტუდენტების უწევს დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები და შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან. ასევე, უნივერსიტეტი აქტიურად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ და ეხმარება პარტნიორ დამსაქმებლებთან სტაჟირების გავლის პროცესში. აგრეთვე, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ცენტრი აქტიურად გეგმავს და ახორციელებს საჯარო ლექციებსა და კურიკულუმს მიღმა სხვა აქტივობებს.

მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტთან, პროგრამის წინა აკრედიტაციიდან (განათლების მეცნიერებებისა და მართვის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაცია, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #101 გადაწყვეტილება 19.04.2012) დღემდე არცერთ სტუდენტს არ მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო სემესტრულ მობილობაში, გაცვლით პროგრამასა ან სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენციაში, რაც ეჭვქვეშ აყენებს განათლების მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში არსებული ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ქმედითობას. გარდა ამისა, ვიზიტის პროცესში სტუდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია გაცვლითი პროგრამების ფარგლებში არსებული სტიპენდიების შესახებ.

უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პედაგოგიური ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესთან დაკავშირებით სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასვე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. ამასთან, ინტერვიუს პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და უნივერსიტეტის ვებგვერდის

მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ. სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სოციალური დახმარების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სწავლის ქირის გარკვეული მოცულობით შემცირებას. ამასთან, სტუდენტებისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს პროექტების დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ მოიპოვონ დაფინანსება სხვადასხვა სოციალური თუ შემეცნებითი პროექტის განსახორციელებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები; ● ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაოს აღწერილობები; ● პროგრამაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პირთა დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაოს აღწერილობის მარეგულირებელი აქტი; ● სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობისა და კვალიფიკაციის მინიჭების წესი (აკადემიური საბჭოს დადგენილება #12(17/18) 10.11.2017) ● თვითშეფასების დოკუმენტი; ● უნივერსიტეტის ვებგვერდი; ● ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია, მოხდეს სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით საერთაშორისო სემესტრულ მობილობებში, გაცვლით პროექტებსა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტთა მონაწილეობის ეფექტური ხელშემწყობი მექანიზმების შემოღება და სტუდენტთა ინფორმირებულობის გაზრდა ამ მიმართულებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„განათლების მეცნიერებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომი სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებსა და სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით და მათი კვლევითი ან/და პრაქტიკული საქმიანობით, ამასთან, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და შესრულების ინსტრუქციის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს, როგორც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი, ასევე, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოწვეული პროფესორიც (ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით). რომელსაც აქვს შესაბამისი განათლება და სამეცნიერო–მეთოდური მუშაობის გამოცდილება, რაც დასტურდება პუბლიკაციებით შესაბამისი პროფილის საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში.

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების პროცესში უზრუნველყოფილი იყოს, საჭიროების შემთხვევაში, ერთი ან მეტი თანახელმძღვანელის ყოლა, რომელთაც ექნებათ საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, აღნიშნული შესაძლებლობა არ ფიქსირდება არც უსდ-ის სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და შესრულების ინსტრუქციასა და არც სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში, ხოლო თუ სტუდენტს დასჭირდება იმუშაოს ინტერდისციპლინარულ კვლევაზე, მიზანშეწონილია, რომ მას ჰქონდეს ხელმძღვანელთან ერთად თანახელმძღვანელის ყოლის შესაძლებლობაც. ასევე

აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთი წელიწადში არ დაფიქსირებულა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში თანახელმძღვანელის ჩართვის პრაქტიკა.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა შეადგენს 15-ს, ხოლო პროგრამას ჰყავს 67 აქტიური სტატუსის მქონდე სტუდენტი, რომელთაგანაც 36 არის მეოთხე სემესტრში და შესაბამისად უწევს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა, ამასთან ინტერვიუების პროცესში აღინიშნა, რომ ერთ ლექტორს მაქსიმუმ 5 მაგისტრანტის ხელმძღვანელობა შეუძლია. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამა მაგისტრანტებსა და ხელმძღვანელებს შორის მისაღები რაოდენობის (36 სტუდენტი / 15 ხელმძღვანელი) თანაფარდობას უზრუნველყოფს.

სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსის მიხედვით, მაგისტრანტი საკუთარი სურვილით ირჩევს თემას (ეს შესაძლოა იყოს პროფესიული პრაქტიკის დროს აღმოჩენილი საკვლევი პრობლემა), რომელსაც მაგისტრანტი წარადგენს შესაბამის დეპარტამენტში და სათანადო ანალიზის შემდეგ მტკიცდება დეპარტამენტის სხდომაზე, რის შემდეგაც სტუდენტი განცხადებით მიმართავს პროგრამის ხელმძღვანელს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს თემის სახელწოდება, პროგრამის ხელმძღვანელი კი გამოყოფს მეცნიერ-ხელმძღვანელს და წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს დასამტკიცებლად; შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცედურა მაგისტრანტთან შეთანხმებით მოიცავდეს ნაშრომის თანახელმძღვანელის დამტკიცების შესაძლებლობასაც და შესაბამის პროცედურას.

სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და შესრულების ინსტრუქციის მიხედვით, ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს მაგისტრანტს კვლევის გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში დაეხმაროს ავტორს მის კორექციაში. სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო ვერსიის ჩაბარება-წარდგინების დროს ხელმძღვანელი წარადგენს წერილობით დასკვნას, რომელიც მოიცვას ხელმძღვანელის რეკომენდაციას სტუდენტის დაცვაზე დაშვების ან არდაშვების შესახებ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აკრედიტაციის დისტანციურად ვიზიტის დროს შემოწმებულ მაღალქულიან სამაგისტრო ნაშრომებში არ არის სტანდარტიზებულად დაცული ციტირების ერთიანი სტილი, რის გამოც აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს სამაგისტრო ნაშრომების გაფორმებისას დაცული იყოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული აკადემიური სტილი.

განათლების მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის პროცესი მიმდინარეობს რამდენიმე ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება საკვალიფიკაციო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა (სტუდენტისა და ხელმძღვანელის თანაფარდობა დაცულია), შემდეგ ეტაპზე სტუდენტი კონსულტაციებს იღებს ხელმძღვანელისგან, მესამე ეტაპზე ხდება ნაშრომის რეცენზირება, ხოლო მეოთხე ეტაპზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯაროდ დაცვა, რაც კომისიის მხრიდან ფასდება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და შესრულების ინსტრუქცია; ● საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; ● სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი; ● სანიმუშოდ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომები; ● თვითშეფასების დოკუმენტი; ● უნივერსიტეტის ვებგვერდი; ● ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ● რეკომენდებულია, სტუდენტი უზრუნველყოფილი იყოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას ერთი ან ერთზე მეტი თანახელმძღვანელით. აღნიშნული პირობა აისახოს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დოკუმენტში; ● უზრუნველყოფილი იყოს აკადემიურ ნაშრომებზე მუშაობისას შესაბამისი აკადემიური სტილისა და ნორმების დაცვა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის წარმომადგებლობითი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის №173 დადგენილებით „აწსუ-ში პროგრამების მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შესახებ“ განსაზღვრულია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა. ამ

დადგენილებით გათვალისწინებულია ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა, აკადემიური ჯგუფის საშუალო კვირეული დატვირთვა, პროფესორის საშუალო კვირეული დატვირთვა.
წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული არის კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, კერძოდ, 1 პროფესორი, 18 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ-პროფესორი და 8 მოწვეული სპეციალისტი, 19 აფილირებული პერსონალი მათ შორის 14 პედაგოგიური ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი. საბოლოო ჯამში, ჩანს თითოეული კომპონენტის განმახორციელებელი პირის შესაბამისობა და კავშირი მოცემულ კურსთან (შეთავაზებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენციების ფლობის ჩათვლით). ამასთან, პროგრამას ახორციელებენ როგორც პედაგოგიური, ასევე სხვადასხვა ფაკულტეტის როგორც აკადემიური, ისე მოწვეული სპეციალისტები. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. თუმცა არის 1-2 შემთხვევა, როდესაც გარკვეული საკითხები დაზუსტებას მოითხოვს.
პროფესორ-მასწავლებლების კომპეტენციის შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებთან შესაბამისობა შესაძლებელია რამდენიმე კრიტერიუმით შეფასდეს - საგანთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო ხარისხის შესაბამისობა, საგანთან დაკავშირებულ სფეროში აქტიური პრაქტიკის ქონა და საგანთან დაკავშირებულ თემატიკაზე კვლევითი ნაშრომები. „განათლების მართვის სამართლებრივი საფუძვლები“ წარმოდგენილია 3 ავტორის სახით, რომელთაგან არც ერთს არ უდასტურდება ამ საგნის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნა, გარდა ამისა, შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშიდან ჩანს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომით ხელშეკრულებებში არაა მითითება, გარდა მოვალეობებისა, უფლებებზე; ასევე, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები არაა განსხვავებული.
სამაგისტრო პროგრამას ხელმძღვანელობენ კვალიფიციური და დიდი გამოცდილების მქონე პროფესორები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის ხელმძღვანელები კარგად იცნობენ პროგრამის ძირითად საფუძვლებს და იღებენ მონაწილეობას პროგრამის დახვეწის მიზნით განსახორციელებელი ცვლილების შეტანაში. ამდენად, პროგრამის ხელმძღვანელებს აქვთ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება.
ამასთან, ირკვევა, რომ პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი არიან სათანადო რაოდენობის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით, რომლებსაც

შესაბამისი კვალიფიკაცია გააჩნიათ. ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობის პირები თანამშრომლობენ უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებსა და სტრუქტურულ ერთეულებში. სწავლის შედეგების მიღწევაში აკადემიურ პერსონალს დახმარებას უწევს კონკურსის წესით არჩეული კვალიფიციური დამხმარე პერსონალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სამაგისტრო პროგრამა; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV; • პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე; • ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები; • თანამდებობრივი ინსტრუქციები; • საკვალიფიკაციო მოთხოვნები; • ინტერვიუს შედეგები; • მემორანდუმები; • ი შრომითი ხელშეკრულებები/აფილირების წესი.
რეკომენდაციები: ● სასწავლო კურსების „განათლების სისტემის მართვის სამართლებრივი საფუძვლები“, „ბავშვთა უფლებების“ სწავლის შედეგების მიღწევის უზურნველსაყოფად, განმახორციელებელ ლექტორ(ებ)თან ერთად, სამართლის მიმართულებით არსებული შიდასაუნივერსიტეტო ადამიანური რესურსის გამოყენება, მათი სამეცნიერო თუ პრაქტიკული საქმიანობის სფეროს შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კურსის შინაარსთან.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების განახლება და მასში პროფესიული გამოცდილებისა და განვითარების შესახებ ინფორმაციის სრულად ასახვა; ● აკადემიური და მოწვეული პერსონალის სტატუსის / აკადემიური ხარისხის შესაბამისი მოთხოვნების იდენტიფიცირება და აღნიშნულ მოთხოვნებზე მორგებული შრომითი ხელშეკრულებების შემუშავება / გაფორმება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი რეგულარულად აწარმოებს პერსონალის შეფასებასა და კმაყოფილების კვლევას. ამასთან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად იყენებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგებს ამ მონაცემების გაანალიზების მიზნით. მათი შეფასებისათვის გამოიყენება სასწავლო წლის პერიოდში სასწავლო, სამეცნიერო, ორგანიზაციული და პროგრამასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების შეფასება. აკადემიური პერსონალის სასწავლო-მეთოდური მუშაობის შემოწმების პროცესში, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ერთად, ჩართულნი არიან ფაკულტეტის დეკანი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილე. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, პერსონალის დაწინაურებისა და წახალისებისათვის.

ამასთან, პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მთლიანობაში გეგმავს ტრენინგებს, სემინარებს და სამუშაო შეხვედრებს, აგზავნის აკადემიურ პერსონალს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე და სხვა. პროგრამის განმახორციელებელი პროფესორ-მასწავლებლები სამეცნიერო სტატიებს აქვეყნებენ სხვადასხვა რეფერირებად ჟურნალში, რაც დასტურდება პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი მონაცემებით და განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალში. აქვე იკვეთება რამდენიმე შემთხვევაში სამეცნიერო აქტივობის კლება, რაც შესაძლოა, სამეცნიერო პროდუქტიულობის შემცირების საფრთხეს ქმნიდეს. მიუხედავად ამისა, უნივერსიტეტში მოქმედებს „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესის დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენ-ლობითი საბჭოს 2017 წლის 22 ნოემბრის N133 დადგენილება, რომლითაც აფილირება განიხილება საკადრო პოლიტიკისა და პერსონალის მართვის შემადგენელ კომპონენტად. მისი მიზანია შიდასაუნივერსიტეტო კონკურენტული აკადემიური გარემოს შექმნა, აკადემიური პერსონალის მოტივაციისა და აქტივობის გაზრდა. ამავე დადგენილებით გათვალისწინებულია აფილირებული პირის მიერ უნივერსიტეტის სახელით გამოსაცემად მომზადებული ნაშრომის (სახელმძღვანელოს, მეთოდური მასალის, სტატიის), საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისას შესაბამისი ხარჯების სრულად ან ნაწილობრივ დაფინანსება, აფილირებული პირის მიმართ წახალისების მექანიზმების (ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი) გამოყენება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს წარდგენისას და სხვა.

გარდა ამისა, უნივერსიტეტში მოქმედებს კვლევის, განვითარებისა და მხარდაჭერის ცენტრი, რომლის საქმიანობა მიმართულია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მხარდაჭერა-გაძლიერებისკენ. აღნიშნული ცენტრის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, უნივერსიტეტში გამოყოფილია თანხა როგორც სპეციალურად პერსონალის (განსაკუთრებით აფილირებული აკადემიური პერსონალის) სამეცნიერო აქტივობებისთვის, ისე მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის. ამასთან, გამოკვეთილია, რომ უნივერსიტეტის პრიორიტეტია სწორედ პერსონალის პროფესიული განვითარება და კვლევითი მაჩვენებლის გაზრდას. ამიტომ, როგორც ინტერვიუს დროს ითქვა, კვლევითი პროექტების დაფინანსება გაიზარდა. ამდენად, ჩანს უნივერსიტეტის მხრიდან პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის ამაღლების მზაობა. ასევე, აკადემიური თანამდებობის

პირები ჩართული არიან სხვადასხვა საერთაშორისო პროექტსა და ფორუმში, მონაწილეობენ საერთაშორისო ვებინარებში. აკადემიური პერსონალის უწყვეტად განვითარების პროცესი მხარდაჭერილია უნივერსიტეტის მმართველი ადმინისტრაციული რგოლის მიერ.

ამასთან, აწსუ-ში 2019-2020 წლებში ჩატარდა აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებისა და ჩართულობის კვლევა, გამოკითხვაში მონაწილეობა კი მიიღო 172-მა ადამიანმა. კვლევის თანახმად, პროფესიული საქმიანობისთვის ცოდნის ამაღლებას გამოკითხულ პროფესორ-მასწავლებელთა 15% ისურვებდა კომპიუტერული უნარ-ჩვევების მიმართულებით, 41% - სწავლების თანამედროვე მეთოდების, ხოლო 75% - უცხო ენის სფეროში. ამავე კვლევით დგინდება, რომ მთელი სიცოცხლის განმავალობაში სწავლის ხელშემწყობ ღონისძიებებში (ტრენინგები, სემინარები, საჯარო ლექციები, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები და სხვა) გამოკითხულთა დაახლ. 50%-ს არ მიუღია მონაწილეობა. კვლევის ფარგლებში გამოითქვა რეკომენდაციები, მათ შორის პერსონალის ხელშეწყობა კვალიფიკაციის ამაღლებასა და უცხო ენის შესწავლის მიმართულებით. პროფესორ-მასწავლებელთა აქტივობების ამსახველი დოკუმენტაციიდანაც ჩანს 2019 და 2020 წლის მონაცემები, თუმცა დგინდება 2014, 2015, 2016, 2017 ან ზოგ შემთხვევაში 2018 წლის შემდეგ პროფესიული ტრენინგების ნაკლებობა. ასევე, ინტერვიუდან დადგინდა, რომ მიზანშეწონილია დისტანციური სწავლების მიმართულებით ტრენინგების გაგრძელება, მით უმეტეს, პანდემიის პირობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამაში ჩართული პირების საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებისა და გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებლები (შრომითი კრებულები, სამეცნიერო ჟურნალები);
- „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესის დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 22 ნოემბრის N133 დადგენილება;
- აწსუ-ს აკადემიური პერსონალის სამუშაოთი კმაყოფილებისა და ჩართულობის შესახებ 2019-2020 სასწ. წლის კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები;

- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://atsu.edu.ge/ .

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის პროფესიული ტრენინგების შეთავაზებასა და მხარდაჭერას;
- სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება მიაქციოს პერსონალის სამეცნიერო აქტივობებისა და პროდუქტიულობის ამაღლება-შენარჩუნებაზე.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში 2018-2020 წლებში გაუმჯობესებული და განახლებულია ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. უნივერსიტეტის სალექციო აუდიტორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით.

პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე სასწავლო კორპუსები, ასევე, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების მეთოდიკის ლაბორატორია, სამკითხველო დარბაზი, კომპიუტერული ცენტრის ოთახები არის კეთილმოწყობილი.

ამასთან, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც მნიშვნელოვნად შევსებულია თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით. გამოიკვეთა, რომ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია როგორც სახელმძღვანელოების, ისე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ელექტრონული ვერსიებიც. დისტანციური ვიზიტისას შერჩევითად გადამოწმდა ბაზებზე წვდომისა და ნაშრომების არსებობის საკითხი. დადგინდა, რომ უზრუნველყოფილია საერთაშორისო ბაზებში სილაბუსებით გათალისწინებულ რესურსებზე წვდომა.

ამავე დროს, აღნიშვნის ღირსია უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის არსებობა. ის უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში დაგეგმვას, წვდომას შეფასებებსა და უკუკავშირზე. საჭიროებისამებრ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დახმარებით სტუდენტს შეუძლია, მარტივად და ოპერატიულად დაუკავშირდეს შესაბამის სამსახურებს.

ასევე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გათვალისწინებულია კოვიდრეგულაციები, კერძოდ, გვხვდება ხელის დასამუშავებელი შესაბამისი სითხეები, მითითებები დისტანციის დაცვის თაობაზე. კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით უნივერსიტეტის რექტორს გამოცემული აქვს ბრძანება, რომლითაც სწავლა/სწავლების პროცესის უწყვე-ტობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება სწავლების დისტანციური, შერეული და ჰიბრი-დული ფორმები, რაც 2020 წლის 16 მარტიდან 2020 წლის 1 აპრილამდე საპილოტე რეჟიმში ხორციელდებოდა. დადგინდა, რომ 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში აკადემიური პერსონალი ატარებს ლექციებს დისტანციურად, იყენებს სხვადასხვა ონლაინ-პლატფორმას (Microsoft teams, moodle), დეკანებს დაევალათ აკადემიური ჯგუფების მიხედვით ინფორმაციის მომზადება, სასწავლო პროცესში ჩართული პირებისთვის ინფორმაციის მიწოდება და პასუხისმგებელი პირის გამოყოფა სასწავლო აქტივობების მხარდაჭერის მიზნით. ასევე, განისაზღვრა

ვიდეოლექციების უნივერსიტეტის ონლაინსივრცეში განთავსების მიზანშეწონილობა, რათა სტუდენტებს მიეცეთ მათი ნებისმიერ დროს ნახვის შესაძლებლობა. ამავე დროს, უნივერსიტეტში ხორციელდება ჩატარებული ონლაინ და ვიდეოლექციების ხარისხის მონიტორინგი. ამას მოჰყვა უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 3 აპრილის N01-04/25 ბრძანება, რომლის თანახმად, სასწავლო პროცესი გაგრძელდა 2020 წლის 1 აპრილიდან 2020 წლის 22 აპრილამდე ონლაინრეჟიმში, ფაკულტეტის დეკანებს კი დაევალათ, მაქსიმალურად გამოიყენონ უნივერსიტეტის განკარგულებაში არსებული შესაძლებლობები (როგორც ტექნიკური, ისე პროგრამული) სწავლა/სწავლების პროცესის მიზანმიმართულად წარმართვისთვის. ასევე, აღსანიშნავია უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 24 აპრილის N01-04/28 ბრძანება, რომლითაც სწავლების პროცესი დისტანციურ ფორმატში გაგრძელდა 2020 წლის 22 აპრილიდან 2020 წლის 22 მაისამდე. აღნიშნული ბრძანებით განისაზღვრა, რომ უნივერსიტეტის მულტიმედიურმა ლაბორატორიამ და ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახურმა გააგრძელონ ონლაინსწავლებასთან დაკავშირებული საინფორმაციო ვიდეორგოლების მომზადება, ვებგვერდზე განთავსება, შესაბამისი პერსონალის გადამზადება დისტანციურად და პროცესის ტექნიკური მხარდაჭერა.

ამდენად, ზოგადად, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომა;
- სამეცნიერო ბაზები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- მემორანდუმები/ხელშეკრულებები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: https://atsu.edu.ge/ ;
- ქვეყანაში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარებასა და აწსუ-ში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელე-ბისთვის დამატებით ღონისძიებებთან

დაკავშირებით რექტორის 2020 წლის 11 მარტის N01-04/20 ბრძანებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ 2020 წლის 13 მარტის N01-04/21 ბრძანება; o უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 24 აპრილის N01-04/28 ბრძანება („სასწავლო პროცესის განხორციელების საფუძველზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების პროცესის უწყვეტობის თაობაზე“); o უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 3 აპრილის N01-04/25 ბრძანება „საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის N205 დადგენილების საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების საფუძველზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა/სწავლების პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის განხორციელების შესახებ“; o გამოკითხვის შედეგები; o ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში შემუშავებულია სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის შესახებ დოკუმენტი, რომელიც მოიცავს აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული და დამხმარე პერსონალის ხელფასებს, ინფრასტრუქტურის განახლებისა და ლაბორატორიული აღჭურვილობისთვის აუცილებელ ხარჯებს, სტიპენდიას, კომუნალურ, საგადასახადო ვალდებულებების, პრაქტიკის ანაზღაურების, რისკების დაზღვევის და სხვა ხარჯებს. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ცალ-ცალკეა გამოყოფილი სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, ასევე, პრაქტიკა. როგორც სასწავლო, ისე კვლევით კომპონენტს მითითებული აქვს შესაბამისი ანაზღაურება, თუმცა პრაქტიკის განყოფილება ღიად არის დატოვებული.

„პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილების მიხედვით, პროგრამის საათობრივი დატვირთვის გაანგარიშება ეყრდნობა იმას, რომ 1 კრედიტი = 25 საათს. აკადემიური ხელფასისა და პრაქტიკის ხარჯის გაანგარიშება ეფუძნება სასწავლო წლის განმავლობაში შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის განსაზღვრას. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ხელფასი, კომუნალური ხარჯები, უნივერსიტეტის სტიპენდია და გადასახადები გამოთვლილია 1 აკადემიურ ჯგუფზე გაანგარიშებით, გასული წლების ფაქტობრივი ხარჯვის მოცულობისა და აკადემიური ჯგუფების მთლიანი რაოდენობის თანაფარდობით. ინფრასტრუქტურასა და ლაბორატორიულ აღჭურვილობაზე და სხვა ხარჯებზე გაწეული დანახარჯები, ასევე, გაანგარიშებულია 1 აკადემიურ ჯგუფზე, თუმცა მათი მოცულობები ზუსტდება ფაკულტეტების მიერ არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც აისახება ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილ საბიუჯეტო განაცხადებში.

გარდა ამისა, პროგრამის მთლიან ხარჯში გათვალისწინებულია ის აქტივობებიც, რომლებსაც ფაკულტეტები ახორციელებენ მოზიდული რესურსების ფარგლებში.

ასევე, პროგრამის ბიუჯეტში ასახულია ე.წ. „რისკის დაზღვევის“ ხარჯები, რომლებიც ემსახურება გაუთვალისწინებელი შემთხვევების პრევენციასა და მათი უარყოფითი ზეგავლენის შემცირებას. ეს ხარჯი ემატება პროგრამის მთლიან ხარჯს. ე.წ. „რისკის დაზღვევის“ ხარჯების მოცულობა, მიმდინარე ეტაპზე, არის მთლიანი ხარჯის 10%.

გაანგარიშებული ხარჯის მოცულობა იყოფა სწავლის ქირაზე, რაც იძლევა ამა თუ იმ პროგრამაზე სტუდენტთა ოპტიმალური ოდენობის მაჩვენებელს. ის გათვალისწინებულია ფაკულტეტების ხარჯვითი მოცულობების განსაზღვრისა და აკადემიური ხელფასების კორექტირებისათვის. ამ მიზნით შემუშავდა განათლების მეცნიერებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც დანართის სახით ახლავს თვითშეფასების ანგარიშს. თუმცა ბიუჯეტში მკაფიოდ არ ჩანს აუცილებელი აქტივობების განსაზღვრული ხარჯები, კერძოდ, პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, შიდა გრანტების, მივლინებების, სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებისა და სხვა ხარჯები. ეს ქმნის იმის საფრთხეს, რომ წლის ფარგლებში განსახორციელებელი აღნიშნული აქტივობები ვერ შესრულდეს სრულად. ინტერვიუზე აღინიშნა, რომ აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია სხვა ფაკულტეტებიდან გარკვეული თანხის გადმოტვირთვა. ამასთან, უნივერსიტეტის მხრიდან გამოითქვა პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების მზაობა მისი წამგებიანობის შემთხვევაშიც. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, მეტი სიცხადეა ბიუჯეტის დოკუმენტში შესატანი. ამასთან, დაფინანსების ალტერნატიული წყაროებიდან ხარჯიც არაა შევსებული. ამდენად, პროგრამის მდგრადობისთვის იკვეთება ბიუჯეტის უფრო დეტალურად აღწერის საჭიროება...
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის ბიუჯეტი; • ინტერვიუს შედეგები; • უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 28 თებერვლის N175 დადგენილება „პროგრამების ფინანსური უზრუნველყოფის დასაბუთების პრინციპების შესახებ“.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული აუცილებელი აქტივობების შესასრულებლად გათვალისწინებული ხარჯები უფრო დეტალურად აისახოს პროგრამის ბიუჯეტში; • სასურველია, სხვა ფინანსური წყაროების მოძიება-მოზიდვა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს ციკლური პროცესის სახით, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს:

დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება შემდეგი ამოცანების შესრულებას: **სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესება, შიდა ხარისხის კულტურის განვითარება, ბიუროკრატიისა და ზედმეტი რეგულირების თავიდან აცილება და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამსახურის შეფასებების/რეკომენდაციების გათვალისწინება.** უნივერსიტეტში შემუშავებული და დამტკიცებული დოკუმენტის - „საგანამანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის“ მთავარი პრინციპებია: **განგრძობითი შეფასება, თვითშეფასება, გუნდურობა, ინფორმაციის გაზიარება, ინიციატივების წახალისება, ანგარიშვალდებულება და მისი წარდგენა ან დისემინაცია, ცოდნის ტრანსფერი და ინტერნაციონალიზაცია.** აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს კრიტერიუმებს და ინდიკატორებს, რაც კიდევ უფრო სრულყოფს პროგრამის განხორციელების მონიტორინგის პროცესს.

ხდება ინფორმაციის შეგროვება (კითხვარების გამოყენებით) პროგრამით, სწავლების მეთოდების ეფექტურობითა და სასწავლო ლიტერატურით სტუდენტის კმაყოფილების შესახებ; ასევე ხდება გამორკვევა, თუ რამდენად უზრუნველყოფს სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა, საათობრივი დატვირთვა და გამოყენებული მეთოდები სასურველი შედეგის მიღწევას და ხომ არ არის აუცილებელი რომელიმე კომპონენტის კორექტირება.

წარმოდგენილი მასალებითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პაკეტში, შესაბამის დანართებში ერთი მხრივ წარმოდგენილია არარელევანტური მტკიცებულებები და მეორე მხრივ, წარმოდგენილი

მტკიცებულებები არასრულია. კერძოდ, პროგრამის დაგეგმვის, განხროციელებისა და შეფასების შესაბამის დანართში წარმაოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფი კონცეფცია, რომელიც აღწერს მხოლოდ დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკასა და პრინციპებს. ამავე დანართში წარმაოდგენილია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისი ინსტრუმენტები და დოკუმენტების ჩამონათვალი. აღნიშნული ჩამონათალი ადასტურებს, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების შესაბამისი დოკუმენტები და დადგენილი აქვს , თუმცა მტკიცებულებების არასისრულის გამო, მისი შეფასება ექსპერტთა ჯგუფმა ვერ განახორციელა. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შესაბამის დანართში წარმაოდგენილია სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების აღმწერი დოკუმენტი. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლის შედეგად ვერ დგინდება პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები. ბუნდოვანია, რამდენად არის პერსონალი ჩართული პროგრამის შეფასების პროცესში და ხარისხის სამსახურთან თანამშორმლობის შედეგად როგორ ხდება ანალიზის შედეგების გამოყენება პროგრამის განვითარებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- შიდა ხარისხის შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- გამოკითხვის ფორმები;
- ინტერვიუს შედეგები;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელთან ინტერვიუ.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებული მტკიცებულებები. სრულად შესაბამისობაში მოვიდეს ის პროგრამის თვითშეფასებაში წარმოდგენილ მტკიცებულებათა ჩამონათვალთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვინაიდან, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებები და მართვა“ მიმდინარე წლის დეკემბერში წარდგენილი იყო რეაკრედიტაციაზე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის გარე შეფასება, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. იმ სტანდარტებში, რომლებშიც

პროგრამამ მიიღო მეტწილად შესაბამისობა, უნივერსიტეტს მიეცა რეკომენდაციები და რჩევები. ამას გარდა, უნივერსიტეტმა გარე შეფასებისთვის დაიქირავა აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. აკრედიტაციის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ექსპერტების და გარე შემფასებლის რეკომენდაციების გათვალისწინებით, აწსუ-მა გადაამუშავა პროგრამა. თუმცა, უნივერსიტეტის მიერ წამოდგენილი გარე შეფასების დოკუმენტი იდენტურია წინა წელს, იმავე პროფესორის მიერ გაკეთებული გარე შეფასებისა, რომელიც წარმოდგენილი იყო პროგრამის, "განათლების მეცნიერებები და მართვა" აკრედიტაციის პროცესში. **შედეგად, პროგრამის გარე შეფასების რელევანტურობა აჩენს კითხვებს, რადგან ის ვერ უზრუნველყოფდა ნაკლოვანებების გამოვლენასა და გასაუმჯობესებელი ასპექტების იდენტიფიცირებას.** თვითშეფასებაში ინფორმაცია არ არის საკმარისი და შესაბამისად, ანალიზი არ იძლევა სრულყოფილ სურათს. ასევე, ძლიერი და სუსტი მხარეები შესაბამისი სტანდარტის მსჯელობიდან არ გამომდინარეობს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების მეცნიერებები"; • პროგრამის გარე შეფასება; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: ძლიერი და სუსტი მხარეები შესაბამისი სტანდარტის მსჯელობიდან უნდა გამომდინარეობდეს. თვითშეფასება უნდა შეიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციასა და ანალიზს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით.

აქტივობები მოიცავს შემდეგ ქმედებებს:

- სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონაცემების შეგროვება და ანალიზი ყოველ სემესტრში;

- სტუდენტებთან ადმინისტრაციისა და პროგრამის ხელმძღვანელის შეხვედრები კმაყოფილების კვლევის მიზნით. ამავე მიზნით კითხვარების შევსება;

- გამოკითხვების შედეგების პერმანენტული განხილვა სასწავლო კურსის განმახორციელებლებთან და მათ მიერ ჩატარებული საკუთარი გამოკითხვები სტუდენტთა კმაყოფილების შესახებ და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი მუშაობს ხარისხის შიდა კულტურის განვითარებაზე, ტარდება სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, არსებობს შიდა ექსპერტული დასკვნა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკეთებს ანგარიშებს, შესაძლებელია ითქვას, რომ ხარისხის შეფასებისას რიგ შემთხვევაში **ადგილი აქვს** არავალიდური ინსტრუმენტების გამოყენებას (მაგ. დამსაქმებლის კითხვარი ნაწილობრივ არის ორიენტირებული მოცემულ პროგრამაზე, 2019-2020 წელს არ არის ნაკვლევი პანდემიით განპირობებულ გამოწვევებთან მიმართებით უნივერსიტეტის მუშაობა და სხვა), მიგნებების არასწორ ინტერპრეტაციას და არასანდო დასკვნებს (მაგ. ინტერნაციონალიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით მიღებული შედეგების მიუხედავად, დასკვნაში არაფერია ნათქვამი და არც რეკომენდაციებია ამ მიმართულებით შემუშავებული). შედეგად, ხარისხის შეფასების არსებული ინსტრუმენტები და ანალიზი ნაკლებად უწყობს ხელს პროგრამის გაუმჯობესებას.

,,პერსონალურ მონაცემებთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ონლაინშეხვედრების, ონლაინსწავლების ამსახველი მასალა (ფოტო, ვიდეო გამოსახულება) წარმოადგენს პირის პერსონალურ მონაცემებს, ამიტომაც COVID-19-ის პირობებში პერსონალური მონაცემების დაცვასთან მიმართებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის რეკომენდაციები ასახული უნდა იყოს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესში.

საყურადღებოა ელექტრონული სწავლების შესახებ იმ რეკომენდაციების გათვალისწინება, რომლებიც შეიმუშავეს და გამოაქვეყნეს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებმა:

- განათლების გარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (2020). რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთის ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველტოფასთან დაკავშირებით.
- ENQA-ს რეკომენდაციები ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით

○ European Association for Quality Assurance in Higher Education (2018). Considerations for Quality Assurance of E-learning Provisions. 2018. The Quality Assurance Agency for Higher Education (2020). COVID-19: Initial Guidance for Higher Education Providers on Standards and Quality. აკრედიტაციის მიზნებისთვის განხორციელებული პროგრამის გარეშეფასება არ ითვალისწინებს პოტენციური დამსაქმებლების, პრაქტიკის ხელმძღვანელების მოსაზრებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანამანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები; • გამოკითხვის ფორმები; • ინტერვიუს შედეგები; • თვითშეფასების ანგარიში; • პროგრამის შეფასების შედეგები; • სამაგისტრო პროგრამა და სხვა.
რეკომენდაციები: სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით ვალიდური ინსტრუმენტების შემუშავების, მიგნებების ინტერპრეტირების, მათი სიღრმისეულად შესწავლისა და მიზეზების კვლევის პროცესში, უნივერსიტეტმა მეტი სიზუსტე და ძალისხმევა უნდა გამოიჩინოს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ● ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით საქმიანობისას ისეთი ღირებულებები და მიდგომები როგორებიცაა გამჭვირვალობა, საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და ვალიდობა, პრაქტიკაში მეტად უნდა იყოს რეალიზებული. ● პანდემიით/საგანგებო სიტუაციებით განპირობებული გამოწვევების მართვის მიზნით, სასურველია უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ელექტრონული სწავლების

ადმინისტრირების წესი. ასევე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შესაბამის ერთეულებთან თანამშრომლობით შეიმუშაოს ელექტორნული სწავლების განხორციელებისთვის საჭირო გზამკვლევები, ტუტორიალები, ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის რეკომენდაციები. ● სასურველია გარე შეფასება განახორციელონ უკვე წარმოდგენილი პროგრამის შინაარსის პირობებში. ასევე, სასურველია, რომ ხარისხის განვითარების გარე მექანიზმი ითვალისწინებდეს პრაქტიკის ობიექტების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციების და სხვა გარე შემფასებლების მიერ გამოვლენილ / იდენტიფიცირებულ ნაკლოვანებებს / გასაუმჯობესებელ ასპექტებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: სამაგისტრო
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 71

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		X		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა: მიხეილ გიორგაძე
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
სახელი, გვარი, ხელმოწერა: ზაქარია ქიტიაშვილი
სახელი, გვარი, ხელმოწერა: ეკატერინე კვირიკაშვილი
სახელი, გვარი, ხელმოწერა: მიხეილ ბიჭია
სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნიკა გიგაური